# ნაკადული

140
2006



# საქართველოს მომავალი



თბილისის ნაძალადევის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ესპერანტო კლუბი „ფლორო" ხელმძღვანელი **ლამარა ცუცქირიძე**



თბილისის №3 საბავშვო ბაგა-ბაღი
დირექტორი **ქეთევან ბარათაშვილი,**
პედაგოგები **ნინო გოჩიაშვილი,**
**ბაბული მაისურაძე**



**მარიტა გაგოშიძე**
**და ლუკა ბეჭვაია**

ნაკადული
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2006 წ. №1-2

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა აღმოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი" ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

საამაყო შვილები გეზრდება, მამულო ------------------------------ 3

მამუკა ჩხაიძე – მყინვარწვერი (მოთხრობა) -------------------------- 4

„ოდოოშხერი" ------------------------------------------------------ 7,6,18,25

მსოფლიო კიდით კიდემდე ------------------------------------------ 8

გიწვევთ ფრანების ფესტივალზე --------------------------------- 10

რას და როგორ სწავლობენ შენი თანატოლები -------------------- 14

მუსიკის ჰანგები ------------------------------------------------- 16

ვის როგორ სძინავს (ბუნების კარი) ------------------------------ 21

მზია მექერიშვილი – მოხერხებული უფლისწული (ზღაპარი) -- 23

ყავა თხებმა აღმოაჩინეს ------------------------------------------ 26

ავტომუზეუმი ---------------------------------------------------- 29

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „პაკეტი"



## პატარა ქართველი პიანისტის დიდი წარმატება პარიზში

პარიზში ახლახან დამთავრებულ სკრიაბინის სახელობის მუსიკოსთა საერთაშორისო კონკურსში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია 10 წლის თბილისელმა პიანისტმა კესო ნიჟარაძემ, რომელსაც კომპეტენტურმა ჟიურიმ ერთხმად მიანიჭა პირველი ადგილი. კესო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერ ბავშვთა ათწლედის მოსწავლეა და 6 წლის ასაკიდან მეცადინეობს პედაგოგ ეკა სვანიძესთან. ცოტა ხანში ნორჩი ქართველი მუსიკოსი სპივაკოვის სახელობის ფონდის ტრადიციულ კონკურსშიც მიიღებს მონაწილეობას.

## სპორტი მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის

თბილისის მერიის განათლების სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის და „დინამოს" ბაზის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ 14-დან 22 წლამდე ასაკის მზრუნველობას მოკლებული მოზარდები „დინამოს" სპორტულ სექციებში ივარჯიშებენ.

70 მოზარდი „დინამოს" სტადიონზე ჯერ მხოლოდ ჭიდაობაზე ივლის, ხოლო შემდგომში ბავშვები სპორტის სხვა სახეობებითაც დაკავდებიან. მათი მონაწილეობით თბილისის მასშტაბით მოეწყობა რაიონული შეჯიბრებები.

## წელს კომპიუტერებით 600 სკოლა აღიჭურვება

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა „ირმის ნახტომის" დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელს 8 მილიონი ლარი გამოიყო. პროგრამის თანახმად, წელს 6000 კომპიუტერით 600 სკოლა აღიჭურვება, 6000 პედაგოგი კი გადამზადდება. პროგრამის ფარგლებში შარშან 1750 კომპიუტერი იქნა შეძენილი, ისინი სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 240-მდე სკოლაში შეიტანეს.

2005 წლის დასაწყისში „ირმის ნახტომის" პირველი ეტაპის განხორციელებამდე ჩვენს სკოლებში 200 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი მოდიოდა, 2005 წლის ბოლოს კი, ერთი კომპიუტერი უკვე 125 მოსწავლისთვის გახდა ხელმისაწვდომი, 2006 წლის ბოლოს ერთი კომპიუტერი უკვე 70 მოსწავლეზე იქნება გამოყოფილი.

„ირმის ნახტომის" განხორციელება 2005 წელს დაიწყო და 2009 წელს დასრულდება. პროგრამის ძირითადი მიზანია ქვეყნის ყველა სკოლის კომპიუტერებით აღჭურვა და მათი ინტერნეტში ჩართვა.

## სოციალური მუშაკები სკოლების ხშირი სტუმრები იქნებიან

მალე სოციალური მუშაკები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხშირი სტუმრები გახდებიან და აქტიურად ჩაებმებიან ბავშვთა უფლებების დაცვის გაკონტროლებაში. გარდა უშუალოდ სკოლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების მხრიდან ბავშვთა დარღვევების აღკვეთისა, სოციალური მუშაკების ძალისხმევა ბავშვების ზედამხედველობის გარეშე დარჩენის, მათი ქუჩაში მოხვედრის პრევენციისკენაც იქნება მიმართული.

# სამაყო შვილები გეზრდება, მამულო!

## თინათინ მაისურაძე — „ეტალონის“ პირველი სუპერფინალისტი

ალბათ ყველას დაამახსოვრდა გოგონა, რომელიც 2005 წლის 12 ნოემბრის გადაცემა „ეტალონის“ სუპერფინალის სუპერგამარჯვებული გახდა. შემოდგომა-ზამთრის სეზონის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გადაცემა შედგა. ეტალონში მონაწილეობის მისაღებად „იმედს“ სხვადასხვა რაიონის მოსწავლეებთან ერთად ეწვია ქისტაურელი გოგონა თინათინ მაისურაძეც. ბოლო ტურში სამ მოსწავლეს შორის თინათინი ყველაზე თავდაჯერებულად თამაშობდა, საბოლოოდ გაიმარჯვა და სტიპენდიაც დაიმსახურა. მაგრამ ყველაფერი ამით არ დასრულებულა, მიუხედავად დედის რჩევისა, თამაშს ნუღარ გააგრძელებო, მოულოდნელად თინათინმა წამყვანის შეთავაზება მიიღო და ძალები სუპერთამაშში მოსინჯა. შეიძლება ითქვას, რომ აუდიტორიაში ერთი ადამიანიც არ იყო, რომელიც თინიკოს გულწრფელად არ გულშემატკივრობდა. მან მართლაც შესანიშნავად ითამაშა და სამივე კითხვას სწორად უპასუხა. ის ჯერჯერობით ამ სეზონის პირველი გამარჯვებულია, რომელმაც გარისკა, სუპერთამაშზე დათანხმდა, გაიმარჯვა კიდეც და სტიპენდიაც გაიორმაგა.

17 ნოემბერს ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურის რაფიელ ერისთავის სახელობის საშუალო სკოლის სააქტო დარბაზში უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. იმ დღეს სკოლას სტუმრობდა გადაცემა „ეტალონის“ წამყვანი ბატონი გოჩა ტყეშელაშვილი, რომელმაც საზეიმოდ გადასცა სკოლას ის დროშები, რომლებიც თინათინმა დაიმსახურა, სკოლის დარბაზში მოსწავლეთა ოვაციები და შეძახილები არ წყდებოდა.

„აღფრთოვანებული ვარ აქაურთა ინტელექტით. აქ ერთმა ადამიანმა მითხრა: კაცივით ხალხი ვართო, მართლაც ასე ყოფილა! სწორედ აქაურმა გოგონამ გარისკა და მოიგო 2005-2006 წლის სუპერთამაში. ამას ცოდნის გარდა, თამაშის ჟინი, შინაგანი განწყობა და გაბედულებაც სჭირდება,“ — ასეთი შეფასება მისცა ბატონმა გოჩამ ჩვენს თინიკოს.

„2003-2004 წლებში თინიკო მაისურაძე და ამავე სკოლის მეორე ფინალისტი მიხეილ ჭაბუკაშვილი აქტიურად იყვნენ ჩართულნი ინტელექტუალურ თამაშებში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ბავშვები გამოირჩეოდნენ თავისი ინტელექტით, მიზანდასახულობით, და რაც მთავარია, საბრძოლო ჟინით“. — აღნიშნავს ასოციაცია ინტელექტ-კლუბის „ვინ? სად? როდის?“ ახმეტის ფილიალის ხელმძღვანელი ალექსი ჯუგაშვილი. თინიკო ბავშვობიდანვე მონაწილეობდა ინტელექტუალურ თამაშებში, როგორც ახმეტის, ასევე საქართველოს ჩემპიონატებში.

„თინათინი ნიჭიერი, შრომისმოყვარე, აქტიური, თავაზიანი, მეგობრული და რაც მთავარია, ძალზე მიზანდასახული გოგონაა, ის სამართლიანია და თანკლასელებში ყოველთვის ეძებს ყოველივე კარგ თვისებას, უყვარს დაჩაგრულის გამოქომაგება“, — ასე ახასიათებს დამრიგებელი მზია ხოსიშვილი.

დაწყებითი კლასის მასწავლებელი ჟუჟუნა ზურაბიშვილი იხსენებს, რომ თინიკო ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მისი ასაკისთვის შეუფერებელი საკითხავი მასალის ათვისების განსაკუთრებული ნიჭით და მუყაითობით.

„თინიკო კარგი მეგობარია, ყოველთვის ყველა გაჭირვებაში შეგიძლია



მისი იმედი გქონდეს, უყვარს გაჭირვებულის დახმარება, მისი პირველი სტიპენდიაც ხომ ქველმოქმედებაში დახარჯა“, — ასე ახასიათებენ თანატოლები თინიკოს. სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი ქეთევან თურქოშვილი სიამაყით საუბრობს თინათინის გამარჯვებაზე რესპუბლიკურ ტურში, სადაც მან I ხარისხის დიპლომები დაიმსახურა საქართველოს ისტორიაში და ფრანგულ ენაში. სკოლის დირექტორი, ქალბატონი ლალი ყარალაშვილი: „თინათინმა ნამდვილად გვასახელა, იგი საქართველოში სუპერფინალის პირველი გამარჯვებული ფინალისტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ყოველი მისი პასუხი ინტუიციაზე კი არ იყო აგებული, არამედ ცოდნაზე. თინიკო თავდაჯერებულად პასუხობდა და მოჰყავდა დასაბუთებული არგუმენტები. განსაკუთრებით სრულყოფილი იყო მისი პასუხი საქართველოს ისტორიასა და ქართულ ენაში, თინიკომ პროფესიად ენათმეცნიერება რომ აირჩიოს, ვფიქრობ, ქართულ ენათმეცნიერებას მისი სახით დიდი ქომაგი შეემატება.

თინიკო რომ ასეთია, მისი ნიჭის და მისი პედაგოგების დიდი დამსახურებაა, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო მისი მამის, ვაჟა მაისურაძის დიდი წვლილი შვილის ინტელექტის ჩამოყალიბებაში, ბატონი ვაჟა ბავშვობიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა შვილის ზოგად განვითარებას, განათლებას“.

**თინათინ მაისურაძე:** „ჩემი გამარჯვება უპირველეს ყოვლისა, ჩემი პედაგოგების დამსახურებაა, რომლებიც თავს არ ზოგავენ, რათა მოსწავლეებს ღრმა ცოდნა მისცენ. ჩვენს სკოლაში პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის ტრადიციულად თბილი, მეგობრული ურთიერთობებია, რაც მიზნის მიღწევის გზაზე დადებით მუხტს გვმატებს ახალგაზრდებს. ყველა ჩემს თანატოლს ვუსურვებ იმის განცდას, რაც მაშინ მე განვიცადე. როდესაც მიკროფონით განვაცხადე თამაშის გაგრძელების შესახებ, მაშინვე ვიგრძენი, რომ ექსპერტებიც, წამყვანიც და მთელი დარბაზიც ჩემი მხურვალე გულშემატკივრები იყვნენ. დაღლილობა მომეხსნა და გონებაც საოცრად გამინათდა, რადგან მეტოქე უკვე აღარ მყავდა, დავწყნარდი, სამივე კითხვას ვუპასუხე და მაშინ მივხვდი, რომ გავიმარჯვე, როდესაც ჩვენი გადაცემის წამყვანის სიტყვები მომესმა, მისი გამარჯვებით სუპერთამაში შედგაო. ვისურვებდი, რომ ღმერთმა უმრავლოს ჩვენს კუთხეს და მთლიანად საქართველოს მრავალი სუპერთამაშის გამარჯვებული! მადლობა ამ გადაცემის მესვეურთ, კახეთის გუბერნატორს ბატონ პეტრე ცისკარიშვილს, რომელმაც დრო გამონახა და ჩვენს სკოლაში თვითონ მობრძანდა მოსალოცად, ჩვენი რაიონის განათლების განყოფილებას და მთელ გამგეობას, ჩვენი სოფლის ხელმძღვანელობას, რომლებმაც პირადად მომილოცეს ეს გამარჯვება და სკოლასთან ერთად გაიზიარეს ჩვენი სიხარული. წინ დიდი შეჯიბრება, ივლისის თვეში ტარდება საუკეთესოთა შეჯიბრება, გამარჯვებული სასწავლებლად საზღვარგარეთ გაემგზავრება. ამიტომ უფრო და უფრო დიდი მუშაობა მმართებს.

# საამაყო შვილები გეზრდება, მამულო!

## ფრანგმა სტუმარმა იფიქრა, ეს ბიჭი უთუოდ პარიზში ნამყოფიაო



ინტელექტუალი, მოაზროვნე, კონკურსებისა და ვიქტორინების მოყვარული, უნიჭიერესი, მიზანდასახული, ბეჯითი და შრომისმოყვარე – ეს მისი ხასიათის ზოგიერთი შტრიხია მხოლოდ.

პირველი მერცხალი – ასეც შეიძლება ვუწოდოთ ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის მოსწავლეს მიშიკო ჭაბუკაშვილს. ის ამ სკოლიდან პირველი გამარჯვებული ეტალონელია (გაიმარჯვა 2004 წლის 11 დეკემბერს)

მიშიკო „ეტალონის“ პროექტში დაწყების დღიდან აქტიურად ჩაერთო. მისი გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. გულმოდგინე შრომამ ნაყოფი გამოიღო, თუმცა, როგორც მიშიკომ გვითხრა, წარმატება მისთვის მაინც მოულოდნელი იყო: – ბევრს ეგონა, როგორც რეგიონის წარმომადგენელი დავიჩაგრებოდი და დავიჩრდილებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა, ცოდნამ გაიმარჯვა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო „ეტალონს“, ჩემს სკოლას, პედაგოგებსა და ყველას, ვინც ჩემ გვერდით იდგა და დგას, განსაკუთრებით, ჩემს კლასის დამრიგებელს ჟუჟუნა არაბულს.

მიშიკოსთვის ეს პირველი წარმატება არ ყოფილა, მეორე კლასიდან თითქმის ყველა სახის კონკურსში იმარჯვებდა. როგორც მისმა პედაგოგმა ანა ქისტაურმა გვითხრა, ზეპირსიტყვაობის კონკურსისთვის ნიჭიერმა ყმაწვილმა „ვეფხისტყაოსნის“ 189 სტროფი ზეპირად დაისწავლა და ლიდერობა მოიპოვა, თუმცა, ამაზე არ შეჩერებულა.

–მეშვიდე კლასში ვიყავი, როდესაც მათემატიკის მასწავლებელმა ჟუჟუნა არაბულმა პირადი ინიციატივით მოაწყო კონკურსი კლასებს შორის. გამარჯვებულ გუნდში მეც ვიყავი, რაიონულის გარდა, რეგიონული მასშტაბითაც ვიასპარეზეთ, სადაც წარმატება მოვიპოვეთ, – ამბობს მიშიკო, – მოგვიანებით მონაწილეობა მივიღე გ. მოსიძის ტელეგადაცემაში „რა, სად, როდის“, ბოლოს კი პროექტ „ეტალონში“. საზოგადოდ, ჰუმანიტარული საგნები უფრო მიყვარს და მათემატიკა და სწრაფი აზროვნება ცოტა გამიჭირდა, მაგრამ შრომამ შედეგი მაინც გამოიღო. ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ახლაც ყოველ კვირა ვაგზავნი ცოდნის კუპონს. ამჟამად XI კლასში ვარ და თუ არ ვიჩქარე, ასაკობრივი ზღვარის გამო მონაწილეობას ვეღარ მივიღებ, გულით მინდა კიდევ ერთხელ ვასახელო ჩემი სკოლა.

მიხეილ ჭაბუკაშვილის შესახებ ყველა სიამოვნებით საუბრობს –მოსწავლით დაწყებული, დირექტორით დამთავრებული. თბილი, მეგობრული, მზრუნველი, მორიდებული, შემართებული... – სიტყვები არ ჰყოფნით მის დასახასიათებლად.

გიული ვარდოსანიძე, სკოლის ბიბლიოთეკარი: – მიშიკო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია, შეუძლია 24 საათი იმუშაოს წიგნებთან. ბევრი რამ აინტერესებს, ყოველთვის კლასის დამრიგებელთან ერთად არკვევს საკითხებს.

თამილა ფშაველაშვილი, ფრანგულის მასწავლებელი:

–ბუნებით მორცხვია, მაგრამ, როცა საქმე ცოდნის წარმოჩენას ეხება, მიშიკო გაბედული და აქტიურია. ამ ყმაწვილს კარგი თეატრალური მონაცემებიც აქვს, ჯერ კიდევ VIII კლასშ იყო, როცა თბილისში რკინიგზელთა სახლში ფრანგულ ენაზე წარმოდგენილ სპექტაკლში „როცა კლიმენტინი დაპატარავდა“ შესანიშნავად შეასრულა ექიმის როლი. ფრანგ სტუმართან კი თითქმის ყველა თემაზე თავისუფლად ისაუბრა ფრანგულად. იმდენი რამ უამბო, რომ ამ ქალბატონმა იფიქრა, ეს ბიჭი უთუოდ პარიზში ნამყოფიაო.

ანა ქისტაური, დაწყებითი კლასის პედაგოგი: პირველიდან მეოთხე კლასამდე ვასწავლიდი მიშიკოს და კარგად ვიცნობ მის ბუნებას. არ მავიწყდება, რა შედეგი გამოიღო ერთ-ერთ კომპლექსურ გაკვეთილზე (გურამ რჩეულიშვილის შესახებ) ჩემმა ინტონაციამ, არ მავიწყდება, ახსნისას პატარა მიშიკოს მერხზე დანამცეცებული ცრემლი, სწორედ მაშინ მივხვდი, როგორ ისრუტავდა ბავშვი თითოეულ ჩემს ფრაზას.

ბავშვობისას მიშიკო მეფუტკრეობითაც იყო გატაცებული. ყველაფერი იცოდა – ფუტკრის რიტმი, ცეკვა, სიმღერა, ისიც იცოდა, რომ ფუტკარს ხუთი თვალი აქვს, ამ ჭაბუკს პატარაობიდანვე გამოარჩევს გონიერება, ნებისყოფა, მიზანსწრაფულობა, შეიძლება ითქვას, რომ ის ცოცხალი ენციკლოპედიაა.

დარეჯან თურმანაული, დირექტორის მოადგილე: – მიშიკომ წამოაყენა წინადადება „ვის უნდა 20000“ სკოლაში გვეთამაშა. თვითონვე შეადგინა კითხვები ოთხ სავარაუდო პასუხთან ერთად. 20 000 ლარი ვერა, მაგრამ მაშინ 20 000-ზე მეტი სიხარული კი ნამდვილად ყველას გვერგო.

მიშიკო ბავშვობიდან გატაცებულია სამკურნალო მცენარეებით. კარგად იცნობს სამკურნალო მცენარეებს, ზოგს მინდვრად ეძიებს, ბევრი კი თავის ნაკვეთშიც მოჰყავს და სათუთად უვლის. სულ პატარა იყო, როცა მეზობელმა ქალმა მისი თანდასწრებით დაიჩივლა გული მაწუხებსო და ბიჭმა საკუთარი ხელით მომზადებული ბარამბოს ნაყენით შეუმსუბუქა ტკივილი.

ლალი ყარალაშვილი, სკოლის დირექტორი: – მიხეილ ჭაბუკაშვილი არა მარტო სკოლის, მთელი სოფლის სიამაყეა. ნიჭიერი, საზრიანი, დაკვირვებული, თავმდაბალი, აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, იცის მეგობრობის ფასი. სკოლაში მის სიტყვას ძალა აქვს. როდესაც მიხეილმა „ეტალონში“ გაიმარჯვა, თინათინ მაისურაძემ პირველმა ამცნო სკოლას, სოფელს, დიდი სიხარული, ხოლო, როდესაც თინათინმა გაიმარჯვა, მიშიკო იყო პირველი, ვინც სიხარულით აუწყა სოფელს და სკოლას თინათინის დიდი წარმატება.

ამჟამად მიხეილი ისევ ჩვეული მონდომებით ავსებს ცოდნის კუპონებს. მისი დიდი სურვილია, კიდევ მიიღოს მონაწილეობა კონკურსში და საკუთარი ძალები სუპერთამაშში მოსინჯოს .

მე, მიხეილის მომავალს ვხედავ, მჯერა, რომ ის ყოველთვის იქნება ჩვენი სოფლის საამაყო შვილი, განათლებული და წესიერი ადამიანი.

## მოთხრობა



# მყინვარწვერი

## მამუკა ჩხაიძე

ქვევიდან ნისლი დაიძრა. ნელა, ქურდულად შეიპარა ხეობაში. ხეობა ნისლმა აავსო. მყინვარწვერის ძირი აღარ ჩანდა. წამოთოვა და მალე გადაიღო. მერე ისევ წამოთოვა, თოვდა უხვად, შეუწყვეტლივ. თოვდა მთელ დღეს, მეორე დღესაც. ღამით ზვავები ჩამოწვა – მძიმედ, გრუხუნით. მესამე დღეს გადაიღო. მოყინა. დილა მზიანი იყო.

გამთენიისას ხეობაში კაცი გამოჩნდა. თოვლს მიარღვევდა და მიდიოდა. ფერდობი გადაჭრა, მყინვარწვერს მიადგა.

შავ წვერში ჭაღარა ერია, მოკლე ჩოხა ეცვა, უსახელოებო ტყაპუჭი, მაღალი პაჭიჭები, თავზე ნაბდის ქუდი ეხურა, მხარზე პატარა აბგა ეკიდა...

–რა ლამაზია ეს დალოცვილი! – პირჯვარი გადაიწერა. ლოდიდან თოვლი გადაყარა და ჩამოჯდა, წრიაპები მოირგო.

კლდის კალთას აუყვა. ნელა მიდიოდა, თოვლი გაყინული იყო, ადვილი სასიარულო. ეს კედელი მწვერვალამდე სულ მოყინული და სახიფათო იყო.

შეჩერდა. ცას ახედა. მყინვარის წვერი ვერ დაინახა – ნისლი ფარავდა. ასე ეგონა, ლურჯი, თხელი ფარდა ჩამოეფარაო მყინვარს. გარშემო ყველაფერი იისფერი იყო: მთებიც, ცაც, მყინვარიც, ყინულის ლოლუებიც.

„ღმერთო, ჩვენო მფარველო, ხევის მთავარანგელოზო! წყალობას ნუ მომაკლებთ, ხელი მომიმართეთ. წვერამდე მიმაღწევინეთ, გევედრებით!“ – დაილოცა. მერე გზა განაგრძო.

ხევის პატარა სოფელში ორი მგზავრი შევიდა. შუადღე იყო. მთის გრილი ზაფხული იდგა. ერთი აქაური იყო – მოხევე, მეორე – უცხოელი უნდა ყოფილიყო, ევროპული სამგზავრო კოსტიუმი ეცვა. შუა ხანს გადაცილებული იყო, მაგრამ ახალგაზრდულად, ყოჩაღად გამოიყურებოდა, სათვალის ქვეშ ნათელი, მოუსვენარი თვალები მოუჩანდა, ერთთავად იღიმებოდა, გეგონებოდა, ძალიან მხიარულ ამბავს იგონებს ან რაიმე ოინს აპირებსო.

მოხევე ახალგაზრდა იყო, წვერჩაბურდული, შომცრო ტანისა. სოფლის განაპირას, ჩრდილში რამდენიმე მოხუცი იჯდა. მგზავრები იქითკენ წავიდნენ.

–გამარჯობათ! – ქუდი მოიხადა ახალგაზრდამ.

–ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს!

–ეგ ვინ არის, ბიჭო? – ჰკითხა ყველაზე მოხუცმა.

–ესა? ეს უცხოელია, ლარსის ციხეში ვნახე და წამოვიყვანე, ჩვენსკენ მოდიოდა.

–ჩვენსკენ რა უნდა, ბალღო?

–მყინვარწვერზე უნდა ავიდეს!

–მყინვარზე რაღა უნდა მაგ დალოცვილს?!

–გაუგია, ჯერ კაცის ფეხ არ მიჰკარებიაო მყინვარს, პირველი უნდა იყოს!

–კაცის ფეხ არ მიჰკარებიაო?! – ჩაიცინა მოხუცმა.

–ე, რა უცნაურად ჩაუცვამს, ამდენი რკინა და თოკი რად უნდა ნეტავი?

–კლდით რო არ მასწყდეს, იმად!

–ეგრე ხო ყველა ავა!

უცხოელი ერთხანს მოხევეებს უყურებდა ღიმილით, მერე მზერა გარშემო დათოვლილ მთებზე გადაიტანა, მყინვარს მიაჩერდა, ბუნდოვნად რომ მოსჩანდა ცისფერი ბურუსიდან.

ახალგაზრდა მოხევეს ანიშნა ხელით.

–ხო, ეგ არის, ეგა, – თავი დაუქნია მოხევემ. მერე შორს სოფლელი დაინახა და – გივარგი, გივარგი, ჰაუ, აქ მოდი, – ხელით მოუხმო.

–ბიჭო, მაინც კლდეებზე დაძვრები, და აიმ კაცს წაჰყევ, მთაჩი ამოსულა, მყინვარზე უნდა ავიდეს, ძმიავ.

–წავყვები, რად არ?! ამაღამ ჩვენსა დარჩეს, სტუმარს პატივს ვცემთ, ხვალ წავყვები... თუ მიგვიშვა... მყინვარმა.

უცხოელი და მოხევე მასპინძელს გაჰყვნენ.

–რად არ უთხარ, ბეჟიავ, იოსებ მოხევე რო იყო მყინვარზე? – ჰკითხა ერთმა მოხუცმა მეორეს.

–მაინც არ დამიჯერებდის! საცინლად გახდიდა კაი ვაჟის სახელსა!

–როგორ ავიდა ის დალოცვილი, ჰა?!

–როგორ და ღვთის ნება იყვეს ეგეთი, ღმერთს უნდოდა და ხევის პატარძალმაც აუშვა. ვენაცვალე მის მადლსა! – მოხუცმა მყინვარის პირდაპირ კლდეზე მდგომ პატარა ეკლესიას გახედა და პირჯვარი გადაიწერა.

–რად უნდა უცხოელსა, ეგ ყველაფერი იცოდეს, იქნებ მაშინ არც ავიდეს და... სტუმარ არს, რად დასწყდეს გული... იოსებ მოხევე მაგიტომ არ ასულა იქა, რო ქვეყნისთვის გაეგებინებინა, უნდოდა და ავიდა!

შებინდებისას ნისლი მიეძალა მყინვარს, სულ აღარ ჩანდა მადლიანი.

მყინვარწვერის თავს ნისლის სქელი ჭერი გა-

ეხლიჩა და ცაში აზიდულიყო. მის ზევით ცა იყო, მტრედისფერი, ოდნავ სიწითლეშერეული. ჩამავალი მზის ათინათი გვირგვინად ედგა ხევის პატარძალს, მასაც დაჰკრავდა ცოტაოდენი ალისფერი. ღრუბლები ხან ჩამავალი მნათობის სიწითლეს აირეკლავდნენ, ხან მყინვარის ლურჯ ელვარებას. ცისარტყელა იჭიმებოდა მწვერვალიდან ცამდე, წყდებოდა, მერე ახალი ჩნდებოდა.

ქვევით, მყინვარის კალთაზე, სადაც ნისლი მძიმედ, ნაცრისფრად იდო, ციოდა, თოვდა, ქარი უბერავდა, ბნელოდა, იქ ძლივს მოსჩანდა კაცი, რომელიც ნელა მიიწევდა ზევით. ისეთი პატარა და უსუსური იყო უზარმაზარ მწვერვალთან შედარებით, რომ განწირულად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ. წვერი შეჭირხლოდა, ხელები გაყინული და დამსკდარი ჰქონდა, სულ სველი იყო. უჭირდა... ეს იოსებ მოხევე იყო.

„ამიშვას, ამიშვას ამ დალოცვილმა, კალთამდე ხო მიმიშვა, ბარემ ბოლომდე ამიშვას! ღმერთო, მიშველე! აბა წვეროდან იქნება გადმოსახედი“! უცებ გამხიარულდა. — „ყველაფერი ხელისგულზე იქნება. ცასაც დავინახავ, მზესაც და მთვარესაც, მთებსაც და ხევებსაც“.

რაც უფრო ზევით მიიწევდა, მით უფრო უჭირდა, ქარიც მატულობდა. თოვლმაც მოუხშირა.

ზევით, ნისლის თავზე კი კვლავ დიდებული სურათი იყო: მზე უკვე ჩაესვენა, ცასაც მთებსაც, ღრუბლებსაც სისხლის ფერი მიეძალა.

-ნეტავ ვერ ავიდეს ის უცხოელი!

–რად ამბობ მაგას?!

–აბა, ეგ არის სამართალი? იოსებმა იმდენი იწვალა, იწამა ძლივს ავიდა. ეგა კიდევ, მოსულა, თავის თოკებითა და ეშმაკებით უცებ ავიდეს, სამართალი იქნება?

–ბალღო, თუ კარგი ვაჟი არის, უნდა ავიდეს, დედოფალი მიიღებს, თუ ღირს არ არის, ვერც თოკები უშველის და ვერც ვერაფერი. იოსებ მოხევეს გარდა ბევრს უჭრიდა მუხლი, მაგრამ ვერ შეჰბედეს მყინვარს, იმათ, რომ თავის უცოდველობაში და კაი ვაჟობაში ეჭვი ეპარებოდათ, იოსებს — არა. იმად ავიდა დალოცვილი. ეგ უცხოელიც, თუ წმინდა გულით და ვაჟკაცობით წავალს, ავა კიდევაც!

ხვალ დილით რაზმი მყინვარწვერის დასალაშქრავად გადიოდა.

ბანაკს ეძინა. ყინავდა. მთვარის შუქზე თეთრად ანათებდა მყინვარი.

კარვიდან ორი ბიჭი გამოვიდა.

–შეხედე, შეხედე, რა ლამაზია! ერთი მაგის მწვერვალიდან გადმომახედა! — შესძახა ერთმა.

–აგიშვებს რო?! — გაეცინა მეორეს.

–აგვიშვებს... უნდა აგვიშვას! — გაეღიმა პირველ ბიჭსაც.

–როგორც მაშინ... იოსებ მოხევე, რომლის სახელიც ლეგენდად შემოინახა ხალხმა!

იოსები კი...

კარგა ხანი ყინულის ნაპრალში იყო გაჩხერილი. ქვევით უძირო სიბნელეს დაეღო ხახა, ფეხს ვერ აწვდენდა. ზევით კი ერთი მტკაველა ცა მოსჩანდა.

ცოტა დაისვენა, სული მოითქვა და ისევ ამოძრომას შეეცადა. უჭირდა მარტოს... ზევით კი ქარი გაბობოქრდა, თოვლის ფიფქებს ატრიალებდა. როგორც იქნა ამოძვრა. წელში გაიმართა. გაეცინა. ქარი საშინლად უბერავდა, ყინვა აუტანლად იჩხვლიტებოდა. გზა განაგრძო.

მიდიოდა. ეცემოდა, ყინულზე ცურდებოდა, დგებოდა, ისევ წინ მიიწევდა. ფეხი სრიალებდა, თოვლში ეფლობოდა. სციოდა, ფეხებს ვერ გრძნობდა, მაინც მიდიოდა.

სულ ზევით მიიწევდა, ნისლი თანდათან შეთხელდა, მერე უცებ გაქრა, თავიდან ვერც მიხვდა, რომ ნისლს გააღწია. მერე მიხვდა. ახლა ის ნისლს ზევიდან მოექცა. ქვევით არაფერი არ ჩანდა, ზევით კი...

ზევიდან წითელი ცა, ჩამავალი მზე და მწვერვალი, ათასფრად აელვარებული მწვერვალი დასცქეროდა. გაშეშდა, თვალი ვერ მოსწყვიტა. ცისარტყელები ხიდებივით გაჭიმულიყვნენ. სადღაც გაქრა საკუთარი უსუსურობის გრძნობა. ახლა ის და მყინვარი ერთნი იყვნენ. მყინვარი — საუკუნეების მანძილზე მისი მომლოდინე, კაცი — მისკენ დაუღალავად მიმავალი.

–აი, როგორი ყოფილხარ, დალოცვილო!

ყვირილი მოუნდა, უნდოდა ვინმე ჰყოლოდა გვერდით, ვისაც ამდენ შთაბეჭდილებას გაუზიარებდა. იცოდა: თუ ქვევით ჩააღწევდა, ამას, რაც ნახა, მაინც ვერავის მოუყვებოდა. გრძნობდა, რომ ამის აღწერა შეუძლებელი იყო, არ დაუჯერებდნენ! მაგრამ ეს ყველაფერი მასთან დარჩებოდა, დარჩებოდა ბოლომდე!

თვალი მოავლო გარშემო სივრცეს. ნისლიდან



თავი ამოეყო მწვერვალებს. ყველანი ლამაზები იყვნენ... ხეობები, მდინარეები... ბოლო არ უჩანდა დედამიწას. შორს, ქვევით, კლდეზე, პატარა ეკლესიას მოჰკრა თვალი.

–დიდება შენდა, უფალო! უფალო სასწაულთმოქმედო, ყოვლისშემძლეო!.. თუ ამის მეორედ ნახვა არ მიწერია, აქავ დამტოვე, მწყალობელო!

ხევის პატარძალი უხმოდ დასცქეროდა. მზე ჩადიოდა. გზა განაგრძო...

... ახლა ის მწვერვალზე იდგა, მიუკარებელი მყინვარწვერის თავზე და ქვეყნიერებას გადმოსცქეროდა.

ღამე იყო. თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ადგა. ვარსკვლავები ცვიოდა, ცვიოდა ისე ხშირად, გეგონებოდა, სადღაც შორს, ზეცაში ცეცხლოვანი წვიმა მოდისო, კაცი იდგა და უხმოდ მისჩერებოდა ცარგვალს.

სულ გადაავიწყდა, უკან დასაბრუნებელი რომ იყო. ახლა აღარ ენაღვლებოდა, ჩააღწევდა თუ არა ბოლომდე. მივიდოდა თუ არა თავის ქოხში, იმრავლებდა თუ არა მისი ცხვარი. სულ ერთი იყო ყველაფერი ის, რაც ქვევით ხდებოდა.

ის ახლა მწვერვალზე იდგა, თავზე ვარსკვლავები ეცემოდა, ზევიდან უფლის თვალი დაჰყურებდა. ბედნიერი იყო კაცი. ახლა მას ეკუთვნოდა ის, რაც არავის, თვით ხელმწიფესაც არ ჰქონდა. ეს იყო აუწერელი სილამაზე, სიმდიდრე, სიხარული და სიამაყე, ყველაფერი ის, რაც მყინვარწვერმა აჩუქა...

თენდებოდა. კაცი შორს იყო. იქნებ უკვე ქოხშიც იწვა და თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა ბნელ ჭერს, თვალწინ კი ისევ მზის გვირგვინიანი მყინვარი ედგა. ან იქნებ სიზმარში ცისარტყელას ხიდზე მიაბიჯებდა ცისკენ, მხრებზე და თავზე კი ვარსკვლავები აცვიოდა.

ზევით, მყინვარზე კვლავ მარადიული სიჩუმე იდგა, ნისლის ქვეშ ქარი უბერავდა, თოვლს ფანტავდა, კაცის ნაფეხურები უკვე წაეშალა, ნისლის ზევით კი ოქროსფრად, წითლად და ლურჯად ელვარებდა მწვერვალი და, რაც მთავარია, იქ კიდევ ჩანდა კაცის ნაფეხურები, უკვე გაყინული და გამაგრებული, სამარადჟამოდ შენახული...

... დიდხანს ელოდა ადამიანს მყინვარი. მოსწყენოდა, უჭირდა უადამიანოდ... მერე ერთბაშად დაიგრუხუნა, თითქოს მყინვარიც შეინძრა, შეტორტმანდა, საუკუნეების მანძილზე დაგუბებული აღტაცება, სიხარული, თუ სხვა გრძნობა უცებ მოზღვავდა, აბობოქრდა და გადმოხეთქა, დაიძრა ქვევით, ღრიალით, გრუხუნით, მძიმედ, ნელ-ნელა.

მოდიოდა და თითქოს ძალა ემატებოდა. მოდიოდა გაუთავებელი ლურჯი და აყრუებდა ხეობას.

იმ გაზაფხულზე არნახული ზვავები ჩამოწვა მყინვარწვერიდან.

# გოგონა, რომელიც სულ მღერის



ტელეგადაცემა „12 მტრედი“ ერთ-ერთი იმ პროექტთაგანია, რომლებიც ნიჭიერი ბავშვების გამოვლენას უწყობს ხელს, თუმცა მონაწილე გოგო-ბიჭებმა ჯერ არ იციან, რომ შესაძლოა, ისინი დიდი კარიერის დასაბამთან დგანან...

„12 მტრედის“ ერთ-ერთი წარმატებული ლიდერი, 7,5 წლის მარიამ ყალამაშვილი ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში ცხოვრობს და სწავლობს. მარიამი ხელოვანთა ოჯახში დაიბადა. დედა, ქალბატონი დოდო პროფესიონალი ქორეოგრაფია, მამა, ბატონი მირიანი თვითნაბადი მუსიკოსი გახლავთ, და, ნონა საუცხოოდ უკრავს ფანდურზე და მღერის. პატარა მარიამი კი დაბადებიდან მღერის, ენაც კი სიმღერით აიდგა. თურმე მარიამის დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე, ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე საკუთარი ორსულობის ამბავს გაიგებდა, ქალბატონ დოდოს საოცარი სიზმარი უნახავს: კაცმა ბავშვი მიაწოდა და უთხრა, ეს შენი მარიამიაო, ამიტომაც დაარქვეს ბავშვს მარიამი.

მართალია, პატარა მარის ჯერ ფორტეპიანოზე დაკვრა არ უსწავლია, მაგრამ ნებისმიერ მოსმენილ მელოდიას თავისით აწყობს ინსტრუმენტზე.

საბავშვო ბაღში ცეკვაშიც და სიმღერაშიც სოლისტი იყო. ნიჭიერებას ხომ ხელშეწყობა სჭირდება და მშობლებმა „12 მტრედში“ მიაღებინეს მონაწილეობა, ფონოგრამის ჩაწერაში კი მარის თავისი ნათლია, ზაურ ჩინჩალაძე დაეხმარა. ციცქნა მომღერალმა პირველად იმღერა „საყვარელო მამულო“ მზიურელი ქეთი გაბისონიას აკომპანემენტის თანხლებით და წარმატებასაც მიაღწია. მისი ხავერდოვანი ხმა და შესრულების მანერა ნებისმიერ მსმენელს აღაფრთოვანებს. სწორედ ამიტომ აჩუქეს თუშმა მეცხვარეებმა ციკანი, რომელიც პატარა მარის ძალიან უყვარს. შარშან ოქტომბერში სოფლის ტრადიციულ ზეიმზე „რაფიელობა“ მარიამ ყალამაშვილმა „ბასტი ბუბუს კარაოკეს“ რეპერტუარიდან 10 სიმღერა იმღერა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

აუდიოპლეერი ყურსასმენებით მარის განუყრელ ატრიბუტია. უყვარს ქართული ესტრადა, სიამოვნებით უსმენს თამრიკო ჭოხონელიძეს, გია როინიშვილს, ლელა წურწუმიას, ნატო გელაშვილს, თამთა გოგუაძეს და სხვათა სიმღერებს, მზად არის იმღეროს ყველგან და ყოველთვის.

მარი ძალიან ემოციური და მგრძნობიარე ბავშვია. ჰყავს მეგობრები – მარიკა მაილაშვილი და სოფო ჯიჯიშვილი, რომლებიც ძალიან უყვარს, მათ გარეშე სკოლის ბუფეტშიც კი არ მიდის. კეთილი და გულისხმიერი გოგონა მზად არის ახლობლებს უწილადოს ლუკმა და საკუთარი ნივთიც უშურველად ემეტება მათთვის. მარი ეკლესიურიც არის, ზეპირად იცის „მამაო ჩვენო“. კარგად ახსოვს, როგორ ლოცულობდა ბებო მისთვის, ახლა კი, როცა ბებო ცოცხალი აღარ არის, მარიამი მუდამ იხსენებს მის სახელს. ძილის წინ საეკლესიო კუთხეში წმიდა წიგნებთან და ხატებთან ლოცულობს. ძილს კი ბებოს ნაჩუქარ თოჯინასთან ამჯობინებს.

ერთი კია - მარის სწავლა დიდად არ ეხალისება, თუმცა, მასწავლებელი გულო ტერტერაშვილი ძალიან უყვარს და მისი ხათრით სწავლობს. სამაგიეროდ, მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს სიამოვნებით, ბიბლიოთეკაშიც ხშირად დადის და გატაცებით კითხულობს გიული ბიბლიოთეკარის მიერ შერჩეულ წიგნებს.

# რატომ?

მამასთან ერთად რუსთაველზე ვსეირნობდი. გზაზე ახალგაზრდების ჯგუფი წამოგვეწია. ისინი ერთმანეთში მხიარულად საუბრობდნენ, უცებ ერთმა მათგანმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, რასაც გოგონათა კისკისი მოჰყვა. მამა ადგილზე გაქვავდა, გაშრა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა, თითქოს მათ მაგივრად შერცხვაო.

ახალგაზრდების საქციელზე მამას ცხოვრების ერთი ეპიზოდი გაახსენდა და აი რა მიამბო მან: ეს ამბავი 1958 წელს ხარკოვის სამხედრო სასწავლებელში შემემთხვა. პირველი დღე იყო, აუდიტორიაში შევედი და ის იყო უნდა დავმჯდარიყავი, რომ ერთმა კურსანტმა მომმართა, რაღაც მკითხა, მე პასუხად წიხლი ვკარი. კურსანტები ჯერ გაირინდნენ, შემდეგ კი რადგანაც ერთადერთი კავკასიელი ვიყავი, ყველა მე მეძგერა. მთელი ძალ-ღონით ვიგერიებდი, მაგრამ რას გავაწყობდი ოცეულის წინააღმდეგ, დივიზიის მორიგე ოფიცერი დროზე რომ არ მოსულიყო. ყველანი გენერალთან აგვიყვანეს. იგი განრისხებული იყო, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა, ყველაზე ძალიან იმაზე ბრაზობდა, რომ მე ვერ ავუხსენი, რამ გამომიყვანა წყობიდან. არადა, მართლაც არაფერი მახსოვდა, გარდა იმ კურსანტის ორი სიტყვისა, რომელსაც გენერალთან არაფრით არ ვიტყოდი. ის კურსანტიც გაოგნებული იყო, მას ხომ მხოლოდ ჩემ გვერდზე დაჯდომა ნდომებია. გენერალი ცოტა დაცხრა, შემდეგ თითქოს რაღაცას მიხვდა და იმ კურსანტს უბრძანა ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ზუსტად გაემეორებინა აუდიტორიაში ნათქვამი. მანაც ენის ბორძიკით, მაგრამ სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, რაც მითხრა. გენერალს იერი შეეცვალა, თითქოს მამაშვილურადაც კი შემომხედა და უსიტყვოდ, ხელის აქნევით ყველა გაგვიშვა. შემდეგ გავიგე, რომ გენერალს სასწავლებლის ოფიცრებისთვის უბრძანებია, რომ რუსულენოვანი კურსანტებისათვის ერჩიათ, კავკასიელებთან ურთიერთობისას ხმარებიდან ამოეღოთ მათთვის ჩვეულებად ქცეული დედის გინება.

ეს იყო შორეულ უკრაინაში, მაშინ რას წარმოვიდგენდი, თუ როდისმე ჩემს სამშობლოში ყმაწვილები ყოველგვარი მორიდების გარეშე საკუთარ დედას უსირცხვილოდ, წამდაუწუმ შეაგინებდნენ და თან გოგონათა მოწონებასაც დაიმსახურებდნენ.

რა მოხდა, რამ შეგვცვალა? საქართველოში ხომ ოდითგანვე, ქალის, განსაკუთრებით კი დედის კულტი იყო. ყველა მთავარი სიტყვის ფუძე ხომ „დედაა“:

დედა მიწა, დედა-ბუნება, დედა-სამშობლო, დედა-ბურჯი, დედა-სვეტი, დედა-ბოძი, დედა-კაცი, დედა-ბუდე, დედა-ქალაქი, დედა-ციხე, დედა-ეკლესია, დედა-პური, დედა-ძარღვი, დედა-აზრი, დედა-ენა... თითქოს ამ ერთ სიტყვაში მთელი სამყარო იყოს მოქცეული. ახლა რამ შეგვაჩვენა?! ადრე ქართველი კაცი იშვიათად იგინებოდა და ისიც სხვის დედას აგინებდა, თავისას კი ფიცულობდა. დღეს კი რა დაგვემართა? რა და რატომ ხდება?

**მარიამ იამანიძე,**
**თბილისის 67-ე საშუალო სკოლა, IX კლასი**

## ზამთარი

მოსულა მრისხანე ზამთარი
და აფრქვევს ირგვლივ ფიფქებს,
ფიფქები მოდიან ტრიალ-ტრიალით
და უხარიათ პატარებს.
მოვიდა ზამთარი,
დადუმდა მთა-ბარი,
ფიფქების, ფიფქების
მოფრინავს ამქარი.
მოვიდა ზამთარი
გათეთრდა მთა-ბარი,
ვერხვებმა ჩურჩულით
დაიწყეს ზღაპარი.

## გაზაფხული

გაზაფხული მოსულა,
მოჩითულა მთები,
მზე სხივებით სალტეს კრავს,
კაშკაშებენ გზები.
ეფერება შვილი დედას,
იმედს აძლევს გზნებით –
გავიზრდები, დაგავიწყებ,
რაც დაგტანჯე, დედი!

**ეკა ჯანიაშვილი,**
**დაბა ფასანაურის**
**საშუალო სკოლა, VI კლასი**



**ნიკა გაფრინდაშვილი,**
**ქ. რუსთავის**
**№2 საშუალო სკოლა,**
**11 წლის**

# მსოფლიო კიდით კიდემდე



ლარული „ხის ფეხები“ აქ იმიტომ არის, რომ ისინი ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევის საშუალებას იძლევა. ოჩოფეხებით პატარა მდინარის გადალახვაც უფრო ადვილია და საძოვარზე მიმოფანტული ფარის თვალის დევნებაც. ჩინელი გოგო-ბიჭები იმდენად ოსტატურად ფლობენ ოჩოფეხებს, რომ ფეხბურთსაც მათზე შემდგარები თამაშობენ.

## ბულგარეთი

### ბავშვებმა საშინელებებს არ უნდა უყურონ

ბულგარეთის მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების საბჭომ გადაწყვიტა აიკრძალოს ტელევიზიით კრიმინალური ხასიათის ახალი ამბების გადაცემა დილის 6-დან საღამოს 23 საათამდე. ეს გადაწყვეტილება საბჭომ იმიტომ მიიღო, რომ მისი აზრით, კრიმინალური სიახლეები უარყოფითად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე. აიკრძალა სენსაციური მკვლელობების, დანაშაულთა და სხვა ძალადობრივი ქმედებების შესახებ რეპორტაჟების, ინფორმაციის გადაცემა, პორნოგრაფიული შინაარსის, ადამიანებისა და ცხოველების მიმართ გამოვლენილი ძალადობის ამსახველი ტელეგადაცემები, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერებების, ალკოჰოლის და ნიკოტინის მოხმარების სცენები გვხვდება, აგრეთვე – ენობრივად გაუმართავი გადაცემები. აღნიშნული გადაწყვეტილების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 7,5 ათას ევრომდე.

## ჩინეთი

### ოჩოფეხები საუკეთესო ტრანსპორტია



ჩინეთის სოფელ ლინგში ოჩოფეხებით სიარულს ბავშვობიდანვე ასწავლიან. პატარებს 30 სანტიმეტრის სიმაღლის საფეხურიან ოჩოფეხებს უმზადებენ, მერე და მერე საფეხურების სიმაღლე თანდათან იზრდება, 70 სმ-ს და მეტსაც აღწევს. ასე პოპუ-

## დიდი ბრიტანეთი

### ბრძოლა ჰამბურგერებთან და ჩიფსებთან



ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაციამ „გულის დაავადებებთან მებრძოლი ფონდი“ მთელი სამეფოს ტერიტორიაზე გაავრცელა პლაკატები ჰამბურგერების მეტად საშიში გამოსახულებებით. ფონდის თანამშრომლები დარწმუნებულები არიან, რომ ამ პლაკატების შემხედვარე ბავშვები დაფიქრდებიან და ყურადღებას მიაქცევენ იმას, თუ რას ჭამენ. ბავშვებისთვის მადის დასაკარგად ასეთი აქციის ჩატარება საქველმოქმედო ორგანიზაციამ ბრიტანელი ბავშვების გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარემ გადაწყვიტა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ გოგო-ბიჭების 37%-მა ისიც კი არ იცოდა, რომ მათი საყვარელი ჩიფსები კარტოფილისგან მზადდება. ბრიტანეთში შიშობენ, რომ ორ წელიწადში ქვეყანაში ჭარბი წონით დაავადებული 440 ათასი ბავშვი იქნება.

## აშშ

### მოსწავლე ქალაქის მერი გახდა

მიჩიგანის შტატის პატარა ქალაქ ჰილსლენდის მოსახლეობამ მერად 18 წლის მოსწავლე მაიკლ სეშანი აირჩია. მაიკლს 670-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა, ყოფილმა მერმა, 51 წლის დოუ ინგლსმა ორით ნაკლები ხმა დააგროვა. გაწბილებულ ექსმერს სხვა აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ჭაბუკი კოლეგისთვის გამარჯვება მიელოცა... საარჩევნო კამპანიისთვის მაიკლმა ზაფხულის არდადეგებზე მუშაობით ნაშოვნი 700 დოლარი დახარჯა.

# თურმე ჩემი მასწავლებელი...

## ჩემო პატარებო, ჩემო ლამაზებო!

(ვუძღვნი ჩემს პირველკლასელებს)

ჩემო პატარებო, ჩემო ლამაზებო,
ხმაჭიკჭიკებო და ზოგჯერ ხმანაზებო,
იქნებ თქვენ ვერ ხვდებით, როგორ ვუფრთხილდები
მაგ თქვენს ჩიტის გულებს, ჩემო ალმასებო!
ერთად ვსწავლობთ კითხვას, ერთად ვხტუნავთ, ვმღერით,
ერთად მოვიარეთ ჭალა, ტყე და ველი.
ერთად ვკრებთ და ვაკლებთ, ერთად ვხატავთ ფუნჯით,
ერთად შევიგრძენით, რომ ცაა ლურჯზე ლურჯი.
ისე შეგეთვისეთ, ისე შემიყვარდით,
ხშირად შემიკრთება გული თქვენზე დარდით,
ყველას რაღაც ამკობს ადამიანური –
ზოგს მზერა აქვს წრფელი, ზოგსაც თბილი გული,
ის ბეჯითობს ძლიერ, ის კეკლუცობს მუდამ,
ზოგი ვაჟკაცობს და ზოგს გმირობა უნდა.
მსურს, თქვენზე ფიქრით სულ ლექსები ვწერო,
ერთ დღეს როგორ გავძლებ, რომ არ მოგეფეროთ.
თქვენთან ერთად ყოფნა მე სიცოცხლეს მმატებს,
ვენაცვალე მე თქვენს ფრესკებსა და ხატებს.
მშობლის გულის მსგავსად ჩემი გულიც გლოცავთ.
თქვენს ყოველ ნაბიჯს და ყოველ საქმეს ლოცავს.
მინდა გაიზარდოთ ყველა სასახელო,
ჩემო პატარებო, ჩემო ლამაზებო!

**ნაირა იოსებაშვილი,**
ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლის
დაწყებითი კლასების მასწავლებელი

## დიდო მოურავო

მაღალი იყავი,
ვერ მოგწვდა ვერავინ,
მტერს შენი სიმაღლე ზარავდა,
ვინ გაპატიებდა
უბრალო აზნაურს,
მხრებზე რომ მოისხი მარაბდა.
ბნელში ორმოს თხრიდნენ,
მეფისთვის მიჰქონდათ
სიტყვა შაქარივით ნამული,
მათთვის სად გეცალა,
როს შენი გულივით
ცეცხლში გიზგიზებდა მამული.
კვნესის ისტორია,
გვამცნობს მატიანე,
დროა ყველაფერი ვიცოდეთ,
ვაიმე, ორგულმა იმარჯვა მეფესთან,
შენ კი მოღალატე გიწოდეს.
ცრემლები გაგიშრო
მოძმეთა ღალატმა,
გულში ყველა გრძნობა გადახმა,
ქართლით განდევნილი
უბადლო სარდალი
პატივით მიგიღო ალაჰმა.
ხმლით შემოუხაზე
ნანატრი მიწები,
ოქრო დაუხვავე ზვინებად.
მაგრამ არ იკმარა ურჯულომ.
სრულიად საქართველო ინება.
შვილი დაუტოვე
მამულის სანაცვლოდ,
ზოგისთვის მცირედი მსხვერპლია,
ხალხს უთქვამს:
„ვინც შვილის სიკვდილი
არ იცის,
იმას ნურც სამძიმარს ეტყვიან".
და ასე გაწირე შვილი სათაყვანო,
ცრემლით დაიტირე შენი სვე,
შვილი მოგძახოდა,
მე ვისთან მტოვებო,
ქართლზე ლოცულობდი შენ ისევ.
შვილი გაიმეტე,
ვაიმე მამის გულს,
სამშობლომ დაჩრდილა ყოველი,
მამულს ლოცვასავით მოევლინე
ხსნისა და სიკეთის მთოველი.
მაინც ვერ შეიცნეს
შენი ერთგულება
ისევ ასისინდნენ ენები,
სიცოცხლის მეუფეს
სიკვდილით მოგდევდნენ,
ოსმალეთს გაგრიყეს ჭენებით.
გული ვერ იჯერებს
ბრალდებას საშინელს,
თავზე რა ღვთის რისხვა დაგატყდა.
სამშობლოს შესწირე
ხმალი და გონება,
ყველაზე ძვირფასი – პაატა.
ქართლის გადარჩენა
ღალატად ჩაგითვალეს,
ასე ხომ მტერიც
ვერ მოგთხრიდა,
თავადნი სამშობლოს
ირანში ჰყიდიდნენ,
შენ კი „მოღალატე" ყოფილხარ...
ნეტავი შენსავით
ყველამ „გვიღალატოს",
სიცოცხლე მამულისთვის დატოვოს,
შენ, ქართლის ყველაზე
ერთგულო წმინდანო,
ჩემო შორეულო მნათობო!

**ნინო გრძელიშვილი,**
ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის
საშუალო სკოლის ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელი



**ლუიზა ლეკიშვილი,**
ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის
საშუალო სკოლის მასწავლებელი

# გიწვევთ ფრანების ფესტივალზე

თუ უშუალოდ არა, ტელევიზიით, კინოფილმებში, წიგნებსა თუ ჟურნალებში მაინც გექნებათ ნანახი, როგორ უშვებენ ბავშვები ფრანს და მისი ზეცაში ლივლივიც უთუოდ მოგეწონებოდათ. იქნებ გინატრიათ კიდევაც, ნეტავ, მეც გამაშვებინა ერთხელ მაინც ასეთი ფრანიო. რომ იცოდეთ, რა ადვილია ამ ოცნების ასრულება — მთავარია, სურვილი გქონდეთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის წაკითხვის შემდეგ ბევრ თქვენგანს გაუჩნდება ამგვარი სურვილი. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ, „ნაკადულის" რედაქციამ და საქართველოს ბავშვთა საერთაშორისო ფონდმა „ვუნდერკინდი", გადავწყვიტეთ ჩავატაროთ ჩვენს ქვეყანაში პირველი ფრანების ფესტივალი. ეს ლამაზი ფესტივალი ზაფხულში, სავარაუდოდ ივნისში გაიმართება. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, ფრანის გასაშვებად შესაბამისი ამინდი, ნიავქარია საჭირო. ფესტივალის გამართვის ზუსტი თარიღი სულ მალე დაზუსტდება, თქვენ კი დროს ნუ დაკარგავთ და ამასობაში მოდელების დამზადებას მოჰკიდეთ ხელი, ახლავე ემზადეთ ფრანების აღლუმისთვის, „ნაკადულის" ამ ნომერში გთავაზობთ რამდენიმე მოდელის ნიმუშს, ჟურნალის მომდევნო ნომრებში კი კიდევ რამდენიმე უფრო რთული მოდელის დამზადებას გასწავლით.

მაშ ასე, გიწვევთ საქართველოში პირველი ფრანების ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. გარდა იმ დიდი სიამოვნებისა, მარტო ჰაერში აჭრილი საკუთარი ნახელავი ფრანის ფრენა რომ მოჰგვრის ყოველ თქვენგანს, საუკეთესო მოდელების ავტორებს ჯილდოებიც ელის.

ფრანი უძველესი საფრენი აპარატია. აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, ჩინეთსა და იაპონიაში ფრანები 4000 წლის წინ გაჩნდა. სხვადასხვა დღესასწაულებისთვის ჩინელები, იაპონელები, ბირმელები ფრანებს პეპლების, თევზების, ხოჭოების სახეს აძლევდნენ. ყველაზე შთამბეჭდავი და, ცხადია, ძნელი გასაკეთებელიც, მფრინავი ურჩხული იყო, რომელიც აღმოსავლეთში ძალაუფლებისა და კეთილდღეობის სიმბოლოდ ითვლება. ფრანების დამზადება-გაშვებაში ერთნაირი ხალისითა და გატაცებით მონაწილეობდნენ დიდებიც და პატარებიც. ასეა ახლაც. ამ ქვეყნებში სახალხო დღესასწაულებზე, მაგალითად, ახალ წელს, ცაში ნაირფერ ფრანებს უშვებენ, რომლებზეც, ხშირად ფარნებსაც ამაგრებენ. დღეს ფრანი თავშესაქცევი, გასართობი სათამაშოა. ძველად კი მას სხვადასხვა მიზნით უშვებდნენ ცაში — ბრძოლაში მოწინააღმდეგის შესაშინებლად, ატმოსფერული ელექტროობის შესასწავლად, მეტეოროლოგიური დაკვირვებებისთვის, სხვადასხვა სახის მცირე ტვირთების ან შეტყობინების მისაწოდებლად და ა.შ.

არსებობს ფრანის უამრავი სახის კონსტრუ-







გარსაკრის თარგი



კარკასი





გარსაკრის თარგი





კარკასი

ქციები. პირველ ჯერზე ჩვენ შედარებით მარტივ, ადვილად დასამზადებელი კონსტრუქციების შესახებ გიამბობთ. მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ფრანების გაკეთებას შეუდგებოდეთ, მოდით, გავარკვიოთ, მაინც რატომ და როგორ დაფრინავს ფრანი. ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელია, რომ იგი ჰაერის მოძრაობის წყალობით ლივლივებს ზეცაში. მაგრამ, თუ ბრტყელ ფრანს ოთხივე კუთხეზე ოთხ ძაფს გამოვაბამთ და ერთად შევაერთებთ, ასეთი ფრანი საკმაოდ ძლიერ ქარშიც კი ვერ გაფრინდება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ჰაერის შემხვედრი ნაკადი თანაბრად აწვება ფრანის ზედაპირს და კუთხეებზე გამობმული ძაფები არც ზევით უშვებს მას და არც განზე. მოდით, ვცადოთ, მარტო სამი ძაფი დავტოვოთ, თანაც, ისე შევკრათ ისინი, რომ ფრანის ზედაპირი რაღაც კუთხით იყოს დახრილი. ამ კუთხეს „შეტევის კუთხე" ეწოდება. მოცემულ შემთხვევაში ჰაერის წინააღმდეგობის ძალა არა მარტო უკან ეწევა ფრანს, არამედ აიძულებს მას ზევით აფრინდეს. ამწევი ძალის სიდიდე დამოკიდებულია „შეტევის კუთხეზე", ფრანის ზომებზე და შემხვედრი ჰაერის დაწოლის ძალაზე. ეს დაწოლა მით მეტი იქნება, რაც უფრო ძლიერი იქნება ქარი.

ვიდრე უშუალოდ ფრანის დამზადებას დაიწყებდეთ, საჭირო მასალა უნდა მოიმარაგოთ: ყველაზე მსხვილი კოჭის ძაფი (№10); ნებისმიერი სახის ქაღალდი, გაზეთიც კი შეიძლება, ოღონდ, ფერადი ქაღალდი უფრო ლამაზია (სქელი, მუყაოს მსგავსი ქაღალდი არ ივარგებს); ლარტყები; (შეგიძლიათ ტირიფის ან თხილის წნელებიც იხმაროთ) წებო; კანაფი; 100-125 სმ. სიგრძის ნაჭრის ან ნეჭის ხრალის ლენტი (ფრანის კუდისთვის).

გთავაზობთ ორი მარტივი ფრანის კონსტრუქციას.

**თევზი.** ფრანის კარკასისთვის ხის სამი ლარტყა დაგჭირდებათ. თარგი კარკასს გადააკარით და წებოთი დააწებეთ. აქვე გთავაზობთ თარგის ნიმუშს. გამოაბით ფრანს 1,5 მ. სიგრძის „კუდი" და მისი მედეგობაც უზრუნველყოფილი იქნება.

ასევე მარტივია კიდევ ერთი ფრანის „კლოუნის" კონსტრუქციაც. აიღეთ სქელი თეთრი ქაღალდის ფურცელი, დახაზეთ იგი ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები და ზედ კლოუნი დაახატეთ. ხის ლარტყებისგან გააკეთეთ კარკასი, გამოჭერით კლოუნი და კარკასზე დააწებეთ. კლოუნს ხელ-ფეხზე მსხვილი ძაფის ან წმინდა კანაფის კვანძები გამოაბით, მერე „კუდიც" მიაბით და თქვენი კლოუნი გასაფრენად მზად იქნება.

# უნდა გაგაოცოთ

## „ჯადოსნური“ კალმისტარი ორიოსნებისთვის

ამერიკაში იყიდება „ჯადოსნური“ კალმისტარი, რომლითაც ბავშვებს შეუძლიათ არა მარტო ლიტერატურის თხზულებების და მათემატიკის საკონტროლო სამუშაოები წერონ, არამედ დაშვებული შეცდომებიც მაშინვე გაასწორონ. კალმისტარი თვითონ ადევნებს თვალს ორთოგრაფიის სისწორეს და დინამიკის საშუალებით ხმამაღლა კითხულობს დაშვებულ შეცდომებს. „ჯადოსნური“ კალმისტარი უცხო ენის გაკვეთილზეც შეუცვლელია, მასში ყველაფერთან ერთად, თარჯიმანიცაა მონტირებული. მათემატიკის გაკვეთილზე კი საკმარისია კალკულატორი დახატოთ და დახატულ ღილაკებს შეეხოთ, რომ დინამიკი პასუხს გეტყვით.

## ლურჯი ფერი ბედნიერებაზე მიანიშნებს

ჰოლანდიის ქალაქ დიოტინჰემის ცენტრში აღმართული უცნაური კოშკის წყალობით თავად დიოტინჰემელებს და ქალაქის სტუმრებს შეუძლიათ გაიგონ თუ რა გუნება-განწყობაზე არიან აქაურები. როდესაც კოშკი ლურჯად ანათებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ბედნიერები არიან, წითელი ფერი სიყვარულს ნიშნავს, ყვითელი – შიშს, მწვანე კი – სიძულვილს. ხოლო თუ კოშკი იასამნისფრად იღებება, უნდა ვიცოდეთ, რომ დიოტინჰემში სუფევს სიყვარული, რომელიც ბედნიერებაში გადადის.

## ძაღლი – კომპასი

ჩეხ არნოლდ ფიჩეკს ძალზე უცნაური ძაღლი ჰყავს, მაქსი – ასე ჰქვია ფიჩეკის ოთხფეხა მეგობარს – ყოველთვის მხოლოდ სწორ ხაზზე მოძრაობს და მოხვევისას ზუსტად 90 გრადუსით უხვევს. თავიდან საკუთარი ძაღლის უცნაურმა ქცევამ ძალიან შეაშფოთა პატრონი, მაგრამ როცა კომპასი შეიძინა და დააკვირდა, მიხვდა, რომ მაქსი ზუსტად ჩრდილოეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთის ან დასავლეთის მიმართულებით ანუ დედამიწის მაგნიტური ხაზების გასწვრივ ან გარდიგარდმო მოძრაობს და დამშვიდდა.

## უცხოპლანეტელთა პორტრეტების გამოფენა

ლონდონში გაიმართა უცხოპლანეტელთა პორტრეტების გამოფენა. აქ წარმოდგენილი უცხოპლანეტელები სულაც არ გვანან ჩვენს წარმოსახვაში არსებულ დიდთავა მწვანე კაცუნებს. ინგლისელმა მეცნიერებმა ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კანონების გათვალისწინებით კომპიუტერზე უცხოპლანეტელთა პორტრეტების მთელი გალერეა შექმნეს. ისე რომ, ამ უჩვეულო გამოფენაზე მნახველებმა ვირტუალური პლანეტა აურელიის ბინადარი გრძელკისერა, პატარათავიან არსებაც იხილეს, ცისფერი მთვარის მკვიდრი მფრინავი ვეშაპიც და კიდევ მრავალი სხვა ურჩხულიც, რომელთა ნახვის შემდეგ ზოგს უცხოპლანეტელებთან კონტაქტის ძიების სურვილი სამუდამოდ დაეკარგა.



# მუზის მარგალიტები



## მურმან ლებანიძე

### ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო

ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
ყოფილა დავით-მეფე – აღმაშენებელი,
ყოფილან ოპიზრები – გასაშტერებელი;
ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი,
რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...
ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო.
ყოფილა ნიკოპსით – დარუბანდამდე
გაჭენებული და გამოჭენებული;
რტოებგაშლილი და გამოჩინებული,
ყოფილა ორ ზღვას შუა აღმოცენებული.
ფიე, საქართველოს ჰყოლია ვასლები!
თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები!
ტევრი გვიწალდია, ისე გვიხარდია,
რომ გავმხადებულვართ ახალ ბიზანტიად.
მაგრამ უცაბედად მატლი არეულა,
ბორბალი უკუღმა დატრიალებულა.
ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი,
მონღოლს მოჰყოლია თურქი და სპარსელი.
ტურფა საქართველო ყორნებს წაუღიათ,
თათარს და ოსმალეთს შუაზე გაუყვიათ.
ჩაშლილა თვალი და ჯაჭვი ჩარღვეულა,
იყალთო დაკეტილა, გელათი დანგრეულა,
ოთხ მეფეს
სულ სისხლის ცრემლებით უცრემლია,
ოთხივეს საბრალო ლექსები უწერია,
–რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი!–
ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი...
ამას მოჰყოლია:
„ვაჰ, დრონი! ვაჰ დრონი!“
ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო,
ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო!

### შენ გიტოვებ, ეს ქვეყანა შენია!

ეს ქვეყანა, ეს ალპური მინდვრები,
ეს კლდეები, არჩვით, ჯიხვით მდიდრები,
ეს ზეგნები, წიფლის, მუხის ჯარებით,
ეს ტევრები, ეს ყანები, ჭალები,
ეს კოშკებიც, მთებს რომ შემორჩენია,
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!
ეს კოლხეთი, ეს ქართლი და კახეთი,
ეს ქვეყანა ლიხს იქით და აქეთი,
ეს შავი ზღვა, ეს ცისფერი ტყეები,
ლურჯი ტბები, ურჩი მდინარეები,
წინაპართა წყალობით რომ გვშთენია,
ყველაფერი
ყველაფერი შენია!
ეს ბაღები, ეს არხები, დამბები,
ეს ქარხნები, ეს ჩარხები, სტამბები,
ეს სოფლები, ქალაქები, დაბები,
ეს საზღვრები, ძმობის, მტრობის ძაფები–
მე მივდივარ, ახლა შენი ჯერია, –
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!
ეს ბოლნისი, ჭიათურა, ტყვარჩელი,
ეს სპილენძი, მარგანეცი, ნახშირი,
ეს ფიქალი, ეს მარმარის ლოდები,
მიწის გულში გატრუნული ზოდები,
ჯერ ყრმა ხარ და შენთვის არაფერია,
დაგჭირდება,
ეს სიმდიდრე შენია!
ეს წარსული – ეს ფრესკები, ტაძრები,
სულის ბერვით გასაჩხრეკი ნაცრები,
ეს ასპინძა, ეს დიდგორი, კრწანისი –
ეს კრწანისი, მწარეზე უმწარესი,
რომელს ჩვენთვის ხვედრი დაუდგენია,
ყველაფერი,
ყველაფერი შენია!
სხვას ვინ მისცა „ლილეო“ და „მხედრული“!
უძველესი ხელოვნება ჭედური!
ეს – აკაკი, ეს – ვაჟა და ილია!
და თუ დიდთან ჩვენიც მცირე წვლილია
(რა თქმა უნდა, სხვაა რუსთველის გენია!)
ყველაფერი, ყველაფერი შენია!
ხარ, მდიდარი აურაცხელ ქონებით,
სისხლით, ჯიშით, სიმხნით, ნიჭით, გონებით!
ხარ აწმყოთი და წარსულით მდიდარი,
თან ხვალის დღის შიში არავითარი!
ღმერთი-რჯული, წასვლა მე არ მწყენია,
მე მივდივარ, ახლა შენი ჯერია –
შენ გიტოვებ,
საქართველო შენია.

# რას და როგორ სწავლობენ შენი თანატოლები სხვადასხვა ქვეყანაში

## კანადა

სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში. ფართობი 997 ათასი კვ. კმ მოსახლეობა 25.7 მილიონი ადამიანი. მათ შორის არიან ფრანგულენოვანი და ინგლისურენოვანი კანადელები. მკვიდრ მოსახლეობას ინდიელები და ესკიმოსები წარმოადგენენ. ოფიციალური ენებია ფრანგული და ინგლისური. დედაქალაქი – ოტავა. მორწმუნეთა შორის პროტესტანტები და კათოლიკეები ჭარბობენ.

პატარა ქალაქი აიგლულუკი იმიერპოლარეთში მდებარეობს. აქაურ დაწყებითი სკოლა atagutaaluk-ის სახელს ატარებს იმ ქალის საპატივცემულოდ, რომელიც საუკუნის წინ დაიბადა. მის შესახებ ისტორიის სახელმძღვანელოშიც წერია, რადგან საერთო შიმშილობის ჟამს მან თავისი სათვისტომოსთვის ძალზე ბევრი გააკეთა.



ზამთარში აქ ტემპერატურა მინუს 45 გრადუსს აღწევს, თუმცა სკოლაში ყოველთვის თბილა და სწავლა მხოლოდ იმ შემთხვევაში წყდება, თუ თოვლის ნამქერში გადაადგილება შეუძლებელი ხდება. მაშინაც კი, როცა გარეთ ყინავს, საკლასო ოთახებში სითბო და სიმყუდროვეა, სხვანაირად ხომ მთელი ტექნიკა გაიყინებოდა, კომპიუტერები კი ამ იმიერპოლარულ სკოლაში ჩვეულებრივი რამაა. გაკვეთილები აქ 8 საათსა და 45 წუთზე იწყება და 15 საათსა და 50 წუთზე მთავრდება, ყოველი გაკვეთილი კი 35-60 წუთს გრძელდება. აიგლულიკელი მოსწავლეები სწავლობენ მშობლიურ ინუიტურ ენას (ინუქტიტუტს), ინგლისურ ენასა და ლიტერატურას, ინფორმატიკას, მათემატიკას, სოციოლოგიას. მათი გაკვეთილების ცხრილში გარდა ამ საგნებისა, ფიზკულტურა, შრომა, ხელოვნება და მეცნიერებაც შედის. რეგულარულად ტარდება გაკვეთილები ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ, კვირაში ერთხელ კი ტარდება დამატებითი გაკვეთილი, რომელზეც პატარა აიგლულიკელები ეცნობიან მშობლიური მხარის კულტურას.გოგონები სელაპებისა და პოლარული მელიების ტყავების დამუშავებას სწავლობენ, ბიჭები კი – ათასნაირი იარაღის, მაგალითად, ბუნიკის ან დანის დამზადებას, გარდა ამისა, ბიჭები სროლასა და ყინულებში გადარჩენის გზებსა და საშუალებებსაც ეუფლებიან.

## ინდოეთი

სახელმწიფო სამხრეთ აზიაში. ფართობი 3,3 მილიონი კვ. კმ. მოსახლეობა 766 მილიონი ადამიანი. ოფიციალური ენა – ჰინდი და ინგლისური (დროებით). დედაქალაქი – დელი. მორწმუნეთა შორის უმრავლესობას ინდუისტები შეადგენენ, მათთან შედარებით მცირე რაოდენობით არიან მუსლიმანები, ქრისტიანები, სიქჰები და სხვა.



ნიუ-დელიში (ასე ჰქვია დედაქალაქის ერთ ნაწილს) მდებარე სკოლაში, რომელსაც Maynr ჰქვია, 500 მოსწავლე და 15 მასწავლებელია. სკოლა ხუთკლასიანია და აქ დადგენილი ცხრილის მიხედვით ყოველდღე, ერთნაირი თანმიმდევრობით ტარდება მათემატიკის, ჰინდის, სოციოლოგიის, ფიზკულტურის გაკვეთილები და აგრეთვე გაკვეთილი საგანში „ჩემი დელი – ჩვენი ინდოეთი". მეცადინეობა აქ რვის ნახევარზე იწყება დილის ხაზით. ეზოში მოწყობილი მოსწავლეები ჰინდი ენაზე მღერიან სახელმწიფო ჰიმნსა და რელიგიურ სიმღერებს. გაკვეთილები უფრო ხშირად გარეთ ტარდება, რადგან საკლასო ოთახებში მეტწილად ძალიან ცხელა ხოლმე. თუ ძლიერი წვიმა წამოვა, ან თუ სკოლის ეზოში მაიმუნები გამოჩნდებიან, რომლებიც საჭმელს იტაცებენ, მეცადინეობა საკლასო ოთახებში გადააქვთ. ცოდნის გარდა, ბავშვები სკოლაში საჭმელსაც ღებულობენ – ნამცხვარს, პურს, ზოგჯერ კი ფორმასა და წიგნებსაც მასწავლებლები ურიგებენ.

## კამბოჯა (კამპუჩია)

სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ფართობი 181 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა 7,5 მილიონი ადამიანი. დედაქალაქი – პნომპენი, ოფიციალური ენა – ქმერული. მორწმუნეთა უმრავლესობა ბუდისტია.

ეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ტიპიურია ამ ქვეყნის განათლების სისტემაში. სკოლა ლოტოსებით, თეთრი დუმფარებითა და წყლის სუმბულებით აჟღერადებული ტბორის ნაპირზე მდებარეობს და აქედან მომდინარეობს მისი ლამაზი და ჩვენთვის უჩვეულო სახელიც – „დიდ ტბორთან". ირგვლივ ბრინჯის ნათესებია გადაჭიმული. სკოლაში 562 მოსწავლე და 19 მასწავლებელია. მათი უმრავლესობა ახლომახლო სოფლებში ცხოვრობს, ამიტომაც სკოლაში ველოსიპედით მიდის. სკოლა შვიდწლიანია და აქ ძირითადად მშობლიურ ქმერულ ენას, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას, საზოგადოებათმცოდნეობას და ერთ-ერთ უცხო ენას – ფრანგულს ან ინგლისურს ასწავლიან. ყველა კლასში სავალდებულო საგანია ფიზიკური შრომაც: საკლასო ოთახების დალაგება, სკოლის ეზოში ბალახის თიბვა მაჩეტეთი (მაჩეტე შაქრის ლერწმის მოსაჭრელად და მაღალი ბალახის გასათიბად საზმარი გრძელი დანაა). მთავარი საგანი კი საზოგადოებათმცოდნეობაა, რომელიც მშობლიური ქვეყნის შესწავლასაც მოიცავს, ხატვასაც, ცეკვებსაც, საგზაო მოძრაობის წესებსაც, ბუდიზმსაც. გარდა ამისა, ბავშვებს სისტემატურად უტარდებათ ლექციები ნაღმების შესახებ. ომის შემდეგ კამბოჯის თითქმის მთელ მიწა-წყალზე უამრავი ნაღმი დარჩა და გოგო-ბიჭებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ თუ სადმე გადააწყდებიან ნაღმს. აპრილში მთელი სკოლა აღნიშნავს ახალი წლის დადგომას, მოსწავლეებს ბაზარში გასაყიდად მიაქვთ გაკვეთილებს შორის შესვენებებზე შრომით მოწეული ჭირნახული, აღებული ფულით კი ყიდულობენ ნამცხვრებსა და გამაგრილებელ სასმელს სასკოლო ზეიმისთვის.






# მუსიკის ჰანგები

დაკვრა რომ პრაქტიკულად ყველა საგანზე შეიძლება, ჩვენი წინაპრები მრავალი ათასი წლის წინათ მიხვდნენ. ქვის ხანის ადამიანებს უმარტივეს დოლებზე დარტყმით გამოჰყავდათ რიტმი, კისერზე ნიჟარების მძივებს სილამაზისთვის და კიდევ იმისთვის იკიდებდნენ, რომ რიტუალური ცეკვების შესრულებისას მათი რიტმული ჟღარუნ-ჟღრიალით დამტკბარიყვნენ. პირველყოფილ ადამიანებს ჩასაბერი საკრავებიც ჰქონიათ, ეს მაშინ გახდა საცნაური, როდესაც არქეოლოგებმა გათხრებისას მამონტის ძვლისგან დამზადებული 30 000 წლისწინანდელი ფლეიტა აღმოაჩინეს. დიახ, ასეთი პრიმიტიული საჟღრიალოებისა და სასტვენებისგან იშვა თანამედროვე მუსიკალური საკრავების დიდი უმრავლესობა.

ახლა იმაზეც ვისაუბროთ, თუ რა პრინციპით მუშაობს თითოეული საკრავი. გაგიკვირდებათ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ყველა მათგანი ერთი საერთო პრინციპით მოქმედებს – მოძრაობაში მოჰყავს ჰაერი. დიახ, ხმები, რომლებიც ჩვენ გვესმის, სხვა არაფერია, თუ არა ჰაერის რხევები. ერთ მარტივ ექსპერიმენტს გთავაზობთ – აიღე ქაღალდის ორი ფურცელი და ერთმანეთზე დადე ისინი, მერე ოდნავ დააშორე ერთმანეთს და შეუბერე. ხომ დაინახე, რომ ფურცლები ათრთოლდა, ვიბრირება დაიწყო? დაახლოებით ასე იბადება სასულე საკრავების, ვთქვათ, ჰობოისა და ფაგოტის ხმები. მათი მუნდშტუკი შედგება ლერწმის ორი მოძრავი ფირფიტისგან, რომელიც ჰაერის ზემოქმედებით იწყებს ვიბრირებას. ახლა დოლი და ლიტავრები ავიღოთ – აქ თხელი ტყავი ვიბრირებს, ვიოლინოში კი – დაჭიმული სიმები. ოდნავ განსხვავებული პროცესი მიმდინარეობს ელექტროგიტარაში – სიმების რხევა ელექტრონულ სიგნალებად გადაიქცევა, რომლებიც გამაძლიერებელს გადაეცემა, ეს უკანასკნელი კი კვლავ ბგერებად აქცევს მათ.



თითქოს ყველაფერი მარტივადაა, მაგრამ ყველა საკრავი სხვადასხვანაირად რატომღა ჟღერს? თურმე, უწინარეს ყოვლისა ეს ზომებზე ყოფილა დამოკიდებული: მსხვილი და გრძელი სიმები უფრო ნელა თრთის, ვიდრე მოკლე და წვრილები და შესაბამისად უფრო ხმადაბლაც ჟღერს. ამიტომაც არის, რომ კონტრაბასი „გუგუნებს“, ვიოლინო კი „მღერის“. ასეთივე თვისება ახასიათებს დოლების მემბრანებსა და ქსილოფონის ფირფიტებს: რაც უფრო დიდი და მძიმეა ეს საკრავები, მით უფრო დაბალ ხმებს გამოსცემს. მაგრამ ზომა მხოლოდ ბგერის სიმაღლეს განსა-



ზღვრავს, და არა მის შეფერილობას, ტემბრს. ტემბრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფორმას, მოყვანილობას და აგრეთვე მასალას, რომლისგანაც არის დამზადებული საკრავი. მაგალითად, ერთი ზომის ხის და ლითონის ფლეიტები სულ სხვადასხვანაირად ჟღერს. როდესაც ჩვენ გიტარაზე ან ფლეიტაზე ვუკრავთ, მხოლოდ ერთი – ძირითადი ტონი გვესმის. სინამდვილეში მუსიკალური საკრავები ერთდროულად კიდევ უფრო მაღალ ბგერებს „ობერტონებს“ გამოსცემენ, ისე რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, ბგერების „კოქტეილს“ ვისმენთ. ამასთან მარტო ჰაერი კი არ ვიბრირებს, არამედ თავად საკრავიც, მათ შორის, რეზონატორი ანუ საკრავის შიგნით მოთავსებული ღრუ, რომელშიც ჰაერი მოძრაობს, გიტარის შემთხვევაში ეს მისი კორპუსია, დოლის შემთხვევაში – მისი „მუცელი“, ფლეიტის შემთხვევაში კი – მილი. რეზონატორში ზოგი ტონი ძლიერდება და ხმამაღლა ჟღერს, სხვები კი პირიქით – უფრო დაბლდება, დახშული ხდება, ხოლო ზოგჯერ საერთოდ ქრება. ხის ფლეიტები ძლიერად აშთობენ ობერტონებს და სწორედ ამიტომ მღერის ეს საკრავი ასე ნაზად და რბილად. საყვირები კი, პირიქით, აძლიერებენ ობერტონებს, ისე, რომ გამყივანი ხმების გამოცემაც შეუძლიათ.

მუსიკალური საკრავების დამზადება ძალზე ძნელი და შრომატევადი საქმეა. მაგალითად, ვიოლინო 30 ნაწილისგან შედგება და მის დასამზადებლად უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა ჯიშის ხის მასალას იყენებენ. ვიოლინოს ოსტატები დაახლოებით 200 საათს მუშაობენ თითოეულ საკრავზე. ხერხავენ, რანდავენ, აწებებენ... და მაინც ძალზე იშვიათად თუ ხერხდება ისეთი სრულყოფილი ჟღერადობის მიღწევა, XVII საუკუნის ცნობილი ოსტატების ამატის, სტრადივარიუსის, გვარნერის ნახელავ საკრავებს რომ ახასიათებს. ამ ვიოლინოებს შეუდარებელი, საოცრად სუფთა და ნაზი ხმა აქვს. ამ სამი იტალიელი დიდოსტატის ხელთუქმნელი საკრავების ჭეშმარიტი დამფასებლები მზად არიან ერთ მათეულ ვიოლინოში რამდენიმე მილიონი ევრო გადაიხადონ (რომ იცოდეთ, ამდენივე ღირს ევროპაში ერთი ძველი მომცრო ციხე-დარბაზი!)

დიდ სიმფონიურ ორკესტრებში 60-დან 150-მდე მუსიკოსია. ისინი გარკვეულ რიგზე – როგორც წესი, დირიჟორის მიმართ მარაოსებურად არიან განლაგებულები.

## სიმებიანი საკრავები

ვიოლინოები წინ და მარცხენა მხარეს სხედან. მეორე ნახევარწრეზე განლაგებულია დიდი ხემიანი საკრავები, ვიოლონჩელოები, ალტები, კონტრაბასები. არფა ცალკე, ოდნავ განზე დგას. ის ერთადერთი მოსაზიდი სიმებიანი საკრავია ორკესტრში.

## სასულე საკრავები

ხის სასულე საკრავების ჯგუფში შედის ფლეიტა, კლარნეტი, ფაგოტი, ჰობოი, სპილენძის საკრავების ჯგუფში – ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი.

## დასარტყამი საკრავები

რიტმის ხაზგასასმელად საჭიროა დასარტყამი საკრავები, როგორც წესი, ორკესტრში ორი ლიტავრაც საკმარისია ხოლმე. გონგი, ეჟვნები, ტამტამები, თეფშები, სამკუთხედები და დოლები იშვიათად გამოიყენება.

აქ წარმოდგენილი სიმფონიური ორკესტრი განლაგებულია „ამერიკულ რიგზე“. მისგან განსხვავებით, „გერმანულ რიგზე“ განლაგებულ ორკესტრში ვიოლინოები დირიჟორებისგან მარცხნივაც სხედან (პირველი ვიოლინოები) და მარჯვნივაც (მეორე ვიოლინოები).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# მომავლის მოთხრობა

**გიორგი ელიზბარაშვილი ქ. გურჯაანის №1 საშუალო სკოლის მოსწავლეა, თოთხმეტი წლისაა. გურჯაანში მას „პატარა ვუნდერკინდის“ სახელით იცნობენ, ეს სახელი კი მან ფრიადებზე სწავლით და მრავალმხრივი ნიჭით დაიმსახურა. როგორც თავად გიორგი ამბობს, მისი ნიჭი ბოლო დროს მწერლობისკენ გადაიხარა. მესამე კლასში იყო, როდესაც მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე ორი ზღაპრით წარდგა („მოგზაურობა კოსმოსში“ და „მელაკუდა და ატმები“). ამას მოჰყვა ზღაპრების სამი წიგნი „გურჯბარონის თავგადასავალი“, „ელიზბარონის თავგადასავალი, „გიორბარონის თავგადასავალი“ (სამივე ბარონი თავად ავტორია). დღეს წარმოდგენილი „მომავლის მოთხრობა“ გიორგის „გიობარონის თავგადასავლის“ ეპილოგია.**

იდგა 4004 წლის მაისი. ბავშვებს სასწავლო წელი უმთავრდებოდათ და ექსკურსიისათვის ემზადებოდნენ. აბა, რას იტყვით, სად წავიდეთო? – იკითხა მასწავლებელმა. მთვარეზე, მასწ. მთვარეზეო! – წამოიძახა ვიღაცამ. ოჰ, კარგი ერთი, ბიჭო, სულ მთვარეზე ხომ არ ვივლით, შარშან ხომ ვიყავით, – შეეპასუხა ვიღაცა. მერე, რომ ვიყავით, მარტო ზედა სამყარო დავათვალიერეთ, ქვესკნელში არ ჩავსულვართო, – არ ცხრებოდა პირველი.

ბავშვები ისევ მასწავლებელმა დააწყნარა და მათ მარსი შესთავაზა. მარსზე თქვენ ნამყოფი არა ხართ თორემ ჩემთვის სულ ერთია, მთელი „ირმის ნახტომი“ მოვლილი მაქვსო. კლასმა ერთი დაიგრუხუნა და მარსი, მარსის ძახილით გადაწყდა ექსკურსიის ბედიც.

–ბავშვებო, თქვენს სოფლებში მფრინავი თეფში რა ფასებში ქირავდება? – იკითხა ქალაქელმა მასწავლებელმა.

–რას ამბობთ, შაქრო მას! – წამოხტა ნიკა ბიჭი – რაღა ტაქსით ვიაროთ, მამაჩემს აქვს საუკეთესო თეფში, ვეტყვი და წაგვიყვანს. შარშან ზაფხულში იყიდა 20000 ლარად. წამში 10000 კმ-ს ეწევა. კლასში ხარხარიატყდა, რას იცინითო, – გაუკვირდა ნიკას.

–ბიჭო, ტყუილად რომ ტრაბახობ, მაგაზე ვიცინით! – წამოუხტა მიხო. – მამაჩემისა სჯობია, 30 000 ლარი აქვს მიცემული. თანაც 50 000 კმს ეწევა, ჰა, როგორია? შენ თეფში კი არა, „ზაპოროჟეცი“ გქონია სახლში!

კლასი ისევ ხარხარებდა. სიცილით რომ გული იჯერეს, გაფრენის დღეც დანიშნეს – 25 მაისი. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, უცებ რამდენჯერმე დაბნელდა და განათდა, ყველას გაუკვირდა, რა ხდებაო. რა ხდება და ჩემი სპეცაპარატით დრო გადავწიე, 24 მაისზე გავაჩერე, კიდევ ერთი კვირა სად მეცადა? - წამოსცდა კახას.

მოკლედ, გამოვიდა, რომ მეორე დღეს მიფრინავდნენ. შეკრება მიხოს ეზოში დანიშნეს. ყველა ბავშვი დროზე მოვიდა. მხოლოდ ილიკო იგვიანებდა და ბოლოს ისიც გამოჩნდა, სულ ხვნეშა-ხვნეშით მოფრინავდა. მალე თეფშიც გაივსო და კარებიც მიიხურეს. მიხომ მამას გასძახა, ტემპერატურა 27-ს არ ააცილო, დაგვცხებაო. როგორც გინდა, ჩემო სიხარულოო, – გაიცინა მამამ და თეფში დაიძრა.

ცოტა რომ იფრინეს, ბიჭებმა კახას დაუძახეს, მიდი ერთი, დრო კიდევ გადაახვიე, თორემ მგზავრობით დავიღლებით და იქ ექსკურსიაზე ველარ ვივლითო. კახამაც ამოიღო დროის აპარატი. რაღაც ღილაკს თითი დააჭირა და იმ წუთში მიხოს მამამაც დაიძახა, მოვედითო.

კარი გახსნეს და ბავშვები ჟივილ-ხივილით მოედვნენ მარსის მიდამოებს. მარსელებმაც ჟრიამული ატეხეს, რომ გაიგეს, დედამიწიდან გვეწვივნენ სტუმრებიო. შაქრო მასწავლებელმა ბავშვები შეკრიბა და საუბარი დაიწყო: ბავშვებო, უწინ, სანამ დედამიწაზე სიცოცხლე გაჩნდებოდა, მარსზე ის უკვე არსებობდა. როდესაც ჩვენი წინაპარი ჯერ ისევ გამოქვაბულში ცხოვრობდა, მათ უკვე დიდად განვითარებული ტექნიკა ჰქონდათ, დაახლოებით ისეთი, როგორიც ახლა დედამიწაზეა. მაგრამ მოხდა დიდი კატასტროფა და ცივილიზაცია მოისპო, გადარჩენილებმა კი სხვადასხვა პლანეტებს შეაფარეს თავი. ვინც მდიდარი იყო, კარგად განვითარებულ პლანეტებს შეაფარა თავი, ვინც არა და დედამიწაზე ჩაფრინდა. სწორედ მათ აგვიგეს სფინქსის ქანდაკება, რომელიც მარსისკენ იყურება. გავიდა დრო და 2012 წელს ამერიკელებმა დააბიჯეს მარსის ზედაპირს. რამდენიმე ასეული წლის შემდეგ დედამიწა ხალხით გადაიტვირთა. ამიტომ 3 მილიარდი მოსახლე აქ გადმოიყვანეს და ახლა უკვე 12 მილიარდი ცხოვრობს.

ნიკამ ადგილობრივი ტყის დათვალიერება მოინდომა, მასწავლებელმა კი ჯერ ქუჩები დავიაროთ, ვნახოთ აქაური ხალხი როგორი ყოფით ცხოვრობსო. ერთი სახლიდან ბავშვის ტირილის ხმა ისმოდა. დედა ეჩხუბებოდა: ახლავე გაგიკეთებ ფლავს, მერე აჯაფსანდალს, მერე ჩახრაკულ პამიდორს და ერთი არ გიჭამიაო, ბავშვი კი იჭაჭებოდა, გინდა თუ არა ლობიო მინდაო.

ბიჭებმა იცინეს, აქაც ჩვენნაირი ბავშვები ყოფილანო და ტყისკენ გასწიეს. ტყეში შევიდნენ თუ არა, მთის ძირას, კლდეში ნაკვეთი ოთახი შეამჩნიეს. შიგ შევიდნენ, სიბნელეში არაფერი ჩანდა. კიდევ კარგი, გიგილოს ბატარეა აღმოჩნდა. გაანათეს და ცენტრში კედელზე მიკრული თეთრი ქაღალდი დაინახეს. კარგად რომ დააკვირდნენ, ქართულ ენაზე წაიკითხეს:

„მე, საქართველოს ქალაქ გურჯაანში მცხოვრები ელიზბარონი ჩემი „ქურანით“ მოვედი აქ და დედამიწელებიდან პირველმა დავაბიჯე ფეხი მარსის ზედაპირს. თან მახლდნენ ჩემი მეგობრები გურჯბარონი და გიობარონი, აგრეთვე ახლადგაცნობილი ნორჩი თავადიშვილი გურჯელგიო“. 2004 წ.

კახამ თავისი დროის აპარატი ახლა უკან გადაახვია და აღმოჩნდა, რომ შაქრო მასწავლებელიც მართალი იყო და ეს წერილიც. ამერიკელებისთვის ისევ ქართველებს დაუსწრიათ. ეტყობა, სიბნელეში წერილი აქამდე ვერ იპოვეს. ბიჭების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გახარებულები დაბრუნდნენ დედამიწაზე. წერილის ფოტოპირი მუზეუმს ჩააბარეს და „პირველი“, „პირველის“ ყიჟინით მთელ მსოფლიოს ამცნეს ეს ამბავი.

# ვის როგორ სძინავს?



ღამურები ბრჭყალებით ხის ტოტს ჩაებღაუჭებიან, საბნის ნაცვლად საკუთარ ფრთებში ეხვევიან და ასე თავდაყირა ჩამოკიდულები იძინებენ.

ზარმაცა ოთხივე თათით ტოტზე ჩამოეკიდება და ისე იძინებს.





კოალას შეუძლია ჭამის დროსაც კი ჩაიძინოს. საქმე ის არის, რომ ამ სიმპათიური ცხოველის საყვარელი საკვები - ევკალიპტის ფოთლები ძალზე ცოტა ნოყიერ ნივთიერებას შეიცავს და იგი იძულებულია ენერგია დაზოგოს.



მგელი თათებს თავქვეშ ამოიდებს, თვალებს ხუჭავს და იძინებს, თუმცა სიფხიზლეს არც მაშინ კარგავს, ამაზე მისი დაცქვეტილი ყურები მიუთითებს.



ციყვი მთელი დღე არ ისვენებს, დახტის, სულ მოძრაობს, მერე კი დაღლილ-დაქანცული მოიკუნტება, გრძელ და ფაფუკ კუდს გადაიფარებს და ტკბილად იძინებს.

როგორც კი მზე ამოიწვერება, ბუები დასაძინებლად ემზადებიან. უფრო თბილად რომ იყვნენ, ბუმბულს გაიფუშფუშებენ და მთელი დღით იძინებენ.



გედი თავს ფრთის ქვეშ ამოიდებს და ისე იძინებს.



# სახელმძღვანელო +

მათემატიკა

## ფიბონაჩი და მისი მწკრივები

1,1,2,3,5,8,13,21,34,55,89,144... დააკვირდით, რიცხვების რა საინტერესო თანმიმდევრობაა: ყოველი მომდევნო წევრი წინა ორის ჯამის ტოლია, მათემატიკაში ამ თანმიმდევრობას ფიბონაჩის მწკრივი ჰქვია. ახლა ვნახოთ ვინ იყო ეს ფიბონაჩი და როგორ მიაგნო მან ამ თანმიმდევრობას.

1202 წელს იტალიელმა ვაჭარმა, ლეონარდო პიზანომ მეტსახელად ფიბონაჩიმ (ეს იტალიური სიტყვა „კეთილი ბუნების ძეს“ ნიშნავს), გადაწყვიტა გამოეანგარიშებინა, რამდენი ნაშიერის გაჩენა შეეძლო ბოცვრების ერთ წყვილს ერთ წელიწადში. ფიბონაჩიმ ანგარიშისას იგულისხმა, რომ ბოცვრები არც ავადმყოფებდნენ და არც დაიხოცებოდნენ და რომ ორი თვის ასაკს რომ მიაღწევდა, დედალ-მამალი თვითონ გააჩენდა ყოველთვიურად თითო წყვილს. ფიბონაჩიმ იანვრიდან დაიწყო ათვლა.

მაშ ასე, იანვარ-თებერვალში ბოცვრები ნამატს არ მისცემდნენ, მარტში პირველ წყვილს ეყოლებოდნენ და ახლა არსებულ წყვილთან ერთად უკვე ორი წყვილი იქნებოდა. აპრილში ბოცვრების პირველი წყვილი კვლავ მისცემს ნამატს. ამგვარად 3 წყვილს მიიღებდა, მაისში ნამატს მისცემს ბოცვრების პირველი წყვილიც და მარტში გაჩენილი წყვილიც და სულ ბოცვრების 5 წყვილი ეყოლება. ასე მსჯელობით ფიბონაჩიმ გამოიანგარიშა, რომ ივნისში 8 წყვილი ბოცვერი ეყოლებოდა, ივლისში – 13, დეკემბერში კი – 144.



მოგვიანებით, თავის მათემატიკურ გამოთვლებს ფიბონაჩი „აბაკის წიგნში“ შეიტანს, ბოცვრების ამოცანა მათემატიკის ისტორიაში შევა, მის მიერ გამოყვანილი რიცხვთა თანამიმდევრობა – ფიბონაჩის მწკრივი კი თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს.

პირველი, ვინც ფიბონაჩის მწკრივებსა და მცენარეთა ზრდას შორის კავშირი შეამჩნია, XVII საუკუნის დიდი გერმანელი მათემატიკოსი იოჰან კეპლერი იყო, მაგრამ ფიბონაჩის რიცხვებით სერიოზულად მხოლოდ 150 წლის შემდეგ დაინტერესდნენ.

1754 წელს ცნობილმა შვეიცარიელმა ბუნებისმეტყველმა და ფილოსოფოსმა შარლ ბონემ მცენარის ღეროზე ფოთლების განლაგების შესწავლისას ერთი მეტად საინტერესო კანონზომიერება აღმოაჩინა.

რომ ავიღოთ, ვთქვათ, მუხის ნორჩი რტო და წარმოსახვაში მასზე „მიმაგრებული“ ფოთლების ადგილები ხაზით შევაერთოთ, გამოვა რამდენიმე სპირალი, ანუ ე.წ. გენეტიკური ხრახნი. გენეტიკური მას იმიტომ დაერქვა, რომ მასზე ფოთლების განლაგება შეესაბამება მათ გამოჩენას ქვევიდან ზევით. აღმოჩნდა, რომ მანძილები ფოთლებს შორის არაერთნაირია და ისინი ფიბონაჩის მწკრივის რიცხვების: 1,2,3,5,8,13-ის პროპორციულია. ბოტანიკაში ამ მოვლენას ფილოტაქსისი ჰქვია.

მას შემდეგ მრავალი ისეთი ფაქტი დადგინდა, რომლებიც ადასტურებს, რომ ფიბონაჩის მწკრივი ცოცხალი ბუნების ფორმებშიც ვლინდება.

აბა, მზესუმზირას დააკვირდით – მარცვლები მის კალათაზე ურთიერთგადამკვეთი მრუდეების რთულ ნახატს ქმნიან. ახლა კი კალათის ცენტრს ფანქარი დავადოთ და მარცვლიდან მარცვალზე გამოვაყოლოთ. ხომ შეამჩნიეთ, რომ ისინი სპირალების გასწვრივ არიან ჩამწკრივებული, ეს სპირალები კი მარცხნიდან მარჯვნივაც არიან ჩახვეული და მარჯვნიდან მარცხნივაც. გამოთვლით დადგინდა, რომ ერთ მხარეს ჩახვეულია 13 სპირალი, მეორე მხარეს კი – აუცილებლად 21. მზესუმზირის უფრო მოზრდილ თანაყვავილედებში სპირალების რაოდენობა შესაბამისად 21 და 34-ია ან 34 და 55. ოქსფორდში გამოიყვანეს უზარმაზარი მზესუმზირა 233 გადამკვეთი სპირალით, რომელთაგან 89 ერთ მხარეს იყო ჩახვეული, 144 კი – მეორე მხარეს. ყურადღება მიაქციეთ რიცხვებს. ფიბონაჩის მწკრივის ამ რიცხვთა წყვილები ერთმანეთის გვერდით დგას.

ამგვარი მაგალითი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. დავაკვირდეთ თუნდაც ახალგაზრდა ფიჭვის ტოტს. საოცარია – წიწვები მარჯვნიდან ქვევიდან მარცხნივ ზევით მიმავალ 2 და მარცხნიდან ქვევით მარჯვნივ ზევით მიმავალ 3 სპირალს ქმნიან. ბევრ გირჩაზე ქერცლი გირჩის ღეროზე დამრეცად დახვეულ სამ სპირალზეა განლაგებული, ხოლო 5 სპირალზე საპირისპირო მიმართულებით ციცაბოდ დახვეული, იგივე ქერცლი მოზრდილ გირჩებზე შეიძლება 5 და 8, ის კი არა, 8 და 13 სპირალზეც კი აღმოვაჩინოთ. ადვილად შეიმჩნევა ამგვარი სპირალები ანანასზეც. უფრო ხშირად მათი რაოდენობა რვა და ცამეტია. ყველა ეს რიცხვი ფიბონაჩის მწკრივს განეკუთვნება.

ფიბონაჩის მწკრივის კანონზომიერებები მარტო მცენარეთა სამყაროში კი არ ვლინდება, არამედ ცხოველებისაშიც. ადვილი შესამჩნევია ისინი, მაგალითად, მოლუსკების ნიჟარების სპირალებზე. მრავალი ადამიანის სხეულის გაზომვების საფუძველზე დადგენილია, რომ ხელის მტევნის შუა თითის სამი ფალანგის სიგრძე 2 სანტიმეტრია, მეორის – 3, მესამის კი 5 სანტიმეტრია. ეს სამი რიცხვი ფიბონაჩის მწკრივს ეკუთვნის და ერთმანეთის გვერდით დგას.

ამჟამად მიმდინარე კვლევები უფლებას აძლევს მეცნიერებს, დარწმუნებით განაცხადონ, რომ ფიბონაჩის მწკრივის კანონზომიერებები ატომურ და მოლეკულურ დონეებზე ელემენტარული ნაწილაკების რაოდენობის თანაფარდობის შედარების დროსაც მჟღავნდება.

მაინც რატომ მეორდება ბუნებაში ასე დაჟინებით ფიბონაჩის რიცხვები? იქნებ ამ უცნაური რიცხვის უდიდესი საიდუმლოს – სიცოცხლის საიდუმლოს ახსნამდე მივყავართ?.. თურმე ნუ იტყვით და, მივყავართ.

მიმოიხედეთ, ხომ ამჩნევთ, რომ სიცოცხლე შემთხვევითობათა ქაოსი კი არ არის, არამედ გენეტიკურად გამაგრებული პროგრამების განხორციელებაა და ფიბონაჩის მწკრივის კანონზომიერებანი ამ პროგრამის ერთ-ერთი ენა, ალგორითმია.

მაგრამ რაღა მაინცდამაინც ფიბონაჩის მწკრივი აირჩია ბუნებამ ორგანულ ზრდასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისათვის? ეს გამოცანა ჯერაც აუხსნელი რჩება.

მათემატიკა



# ლიტერატურული გვერდი

მზია მექერიშვილი

ზღაპარი

## მოხეტიალე უფლისწული

ვეზირების გაუთავებელმა კინკლაობამ ერთი უძლიერესი და ულამაზესი ქვეყანა ორ მოქიშპე სამეფოდ გახლიჩა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მათ ურთიერთობაში კი სასიკეთო არაფერი მომხდარა.

ერთი სამეფოს მეფეს უმშვენიერესი ასული ტაია ჰყავდა, მეორისას — ვაჟიშვილი ვაჟია. ერთ-ერთი ქვეყნის უფლისწულის ქორწილში ვაჟიამ თვალი მოჰკრა ტაიას და მისი სიცოცხლით სავსე თაფლისფერი თვალებითა და წელამდე დაფენილი ოქროსფერი კულულებით ისე მოიხიბლა, რომ მასთან გამოლაპარაკება და ცეკვა მოინდომა, მაგრამ გაახსენდა, რომ უფლება არ ჰქონდა...

ერთხელ სასახლეს, რომელშიც მეფის ასული ტაია ცხოვრობდა, ტანადი, წვერულვაშიანი ჭაბუკი მოადგა. მას მხარზე გადაკიდებული ხურჯინში ნერგები ეწყო, ხელში კი პაწია ჭრელ-ჭრელი ჩიტებით სავსე გალია ეჭირა.

—თუ მებაღედ ამიყვანენ, სასწაულებს მოვახდენ, — უთხრა მან კარისკაცებს.

—ეჰ, შენ რას გვიშველი?! ჩვენში წვიმა იშვიათად მოდის, ახლომახლო კი ყველა წყარო თუ ნაკადული დაშრა და სასახლის ბაღიც ხრიოკად იქცა, — უპასუხეს მათ.

მაშინ ჭაბუკმა გალიის კარი გამოაღო და ჩიტები გამოუშვა. იფრინეს, იფრინეს ჩიტებმა, თითქოს რაღაცას ეძებდნენ და გალავანს იქით გაუჩინარდნენ.

—წამოდით, ვნახოთ, სადაც ჩიტები დასხდნენ, იქ აუცილებლად იქნება წყალი, — უთხრა ჭაბუკმა კარისკაცებს.

შევიდნენ სასახლის ეზოში. ჩიტები ნაბალარში შეჯგუფულიყვნენ და ციცქნა ბრჭყალებით გამწარებით ფხოჭნიდნენ გამომშრალ-გაფხოკილ მიწას.

ჭაბუკმა იმ ადგილას მიწის თხრა დაიწყო. მალე წყალმა შადრევნად ამოხეთქა და ყველა ერთიანად გაწუწა. ისეთი ყიჟინა ატყდა, მთელი სასახლე გარეთ გამოეფინა.

—მთხოვე, რაც გინდა! — უთხრა მადლიერმა მეფემ ჭაბუკს.

—მებაღედ ამიყვანეთ! — არ დააყოვნა მან.

—ამ მორძალებულ თხოვნაზე უარს როგორ გეტყვით?! — გაეღიმა მეფეს.

მებაღე მუხლჩაუხრელად შრომობდა. მისი დარგული მცენარეები თვალის დახამხამებაში გაიზარდა და ერთ მშვენიერ დღეს ისეთი ლამაზი ყვავილებით მოირთო, ბაღში ჩასულმა მეფის ასულმა რომ დაინახა, აღტაცებით შესძახა. ხან ერთ ყვავილთან მიირბინა, ხან მეორესთან, ყნოსავდა, ეფერებოდა, იცინოდა და თან გაიძახოდა:

—რა საუცხოო ყვავილებია! რა ზღაპრული ფერებია! თავი სიზმარში მგონია!

მალე ყველამ ბაღში მოიყარა თავი. ყვავილთა სილამაზით გაოცებულ მეფე-დედოფალსაც კი აღტაცების შეძახილები აღმოხდა. ბაღი, ახალი მორწყული იყო და ტაიას უძვირფასესი კაბა და ფეხსაცმელები ტალახით მოეთხვარა.

—რას გავხარ, შვილო?! შენ ხომ, ტალახი კი არა, მტვერიც არასდროს მოგკარებია! — აღშფოთდა დედოფალი.

ქალიშვილი ჯერ შეცბა, მერე გადაიკისკისა, ფეხსაცმელები გაიძრო, გვერდზე მოისროლა და სასახლისკენ გაიქცა.

ამ წალკოტის ფასად ღირს ტალახით გასვრა! მერე რა, რომ მეფის ასული ვარ! — იძახდა წკრიალა ხმით.

ერთხელ სარკმლიდან მომზირალი დედოფალი მზის სხივებზე ოქროცურვილი ყვავილების სინატიფით მოინუსხა.

—ნახე, ტაია, ბაღი შენი კულულების მსგავსი ყვავილებითაა სავსე! — უთხრა ქალიშვილს.

—რა მშვენიერია!! — აღფრთოვანდა ისიც და ბაღში ჩაირბინა. — რა ჰქვია ამ ყვავილს? — ჰკითხა მებაღეს.

—მეფის ასულის კულულები, — უპასუხა მან.

—მართლა? — გაიცინა ტაიამ. — შენი მადლიერნი ვართ, მართლაც მშვენიერი ბაღი გაგვიშენე!

—სიყვარულით გაკეთებულ საქმეს მოაქვს მშვენიერება.

—ჩანს, ძალიან გიყვარს შენი საქმე.

—ჩემი საქმეც და...

—და რა?

—ამ ბაღს ერთი მომხიბლავი ქალიშვილის სიყვარული მაშენებინებს.

—ვინ არის ის ქალიშვილი?

—მალე შეიტყობთ.

მეორე დილით ტაიამ ბაღში გადაიხედა და დაინახა, რომ რამდენიმე დღის წინ დარგული ნერგი სასახლის სიმაღლე გაზრდილიყო. მებაღე ხეზე მიდგმულ კიბეზე იდგა და კენწეროში გამოტანილ ზანზალაკების მსგავს ყვავილებს კრეფდა. მეფის ასულს თვალი რომ მოჰკრა, ძირს ჩამოვიდა, კიბე სარკმელს მიადგა და სხარტად ავიდა ზედ.

—დილა მშვიდობისა! —მიესალმა ქალიშვილს და თაიგული გაუწოდა.

—დილა მშვიდობისა! — უპასუხა მან, თაიგული გამოართვა და მადლობა გადაუხადა.

—ეს ყველაზე სურნელოვანი ყვავილებია დედამიწის ზურგზე. მათ მხოლოდ და მხოლოდ შეყვარებულებს უძღვნიან, ამ დროს ისინი ზანზალაკებივით რეკავენ ხოლმე, — უთხრა ჭაბუკმა.

უცებ ყვავილები აწკრიალდნენ. მეფის ასული უზომოდ განცვიფრდა. წკრიალი მაშინ შეწყდა, როცა მებაღე კიბეზე დაეშვა.

—ნუთუ მე ვარ ის ქალიშვილი, ვისი სიყვარულითაც აშენებს ამ მშვენიერ ბაღს?! — მაშინღა ჩაუფიქრდა ტაია ჭაბუკის სიტყვებს.

საკუთარ გულს ყური მიუგდო და მიხვდა, რომ თვითონაც შეყვარებული იყო, მაგრამ სად მეფის ასული და სად მებაღე?! ტაია დადარდიანდა, გახდა, ფერი დაეკარგა და მალე ლოგინად ჩავარდა. განთქმული ექიმები თავს დასტრიალებდნენ, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ.

ამასობაში ბაღში კიდევ ერთი საუცხოო ყვავილი გა-



იშალა, მას ღიმილი ერქვა. ეს ყვავილი ავადმყოფს ახალისებდა და ხშირად კურნავდა კიდეც. ორი წითელი ფურცელი ჰქონდა. დროდადრო ღიმილი ფურცლებს შლიდა და მათ შორის კბილების მსგავს თეთრ თესლებს აჩენდა. მებაღემ ამ ყვავილების თაიგული მეფის ასულს გაუგზავნა. ქალიშვილი ჯერ მისი სილამაზით მოიხიბლა, ხოლო, როცა ყვავილებმა გაუღიმეს, გულიდან დარდი გადაეყარა, გაცრეცილი სახე გაუვარდისფრდა, თვალები ძველებურად აუციმციმდა და აღტაცებით წამოიყვირა:

–დედა, დედა, ნახე, როგორ იღიმებიან!

ტაიას ხმა ბაღში მოფუსფუსე მებაღის ყურსაც მისწვდა.

–მეფის ასული გამოჯანმრთელდა! – ჩაილაპარაკა გახარებულმა ჭაბუკმა.

მეორე დღეს მებაღეს სამეფოს მთავარი მოედნიდან უჩვეულო ჟრიამული მოესმა. იქით გაეშურა. მის დანახვაზე ხალხი აყვირდა:

–აი კიდევ ერთი, კიდევ ერთი წვერგაუპარსავი!

შემცბარ ჭაბუკს ორმა კაცმა აქეთ-იქიდან ჩაჰკიდა ხელი, სიცილ-ხარხარით მოედნის შუაგულში მოწყობილ სცენაზე აიყვანა და სკამზე დასვა. მებაღემ თვალი მოავლო ხალხს. სამეფო ოჯახიც იქ ბრძანდებოდა, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! მეფეს წვერ-ულვაში აღარ ჰქონდა!

–ეტყობა, ამ ჭაბუკმა არ იცის, რა ხდება!– იცინოდა ხალხი.

წინ დალაქი გამოეჭიმა. იგი იღიმებოდა და სამართებლის მოლაპლაპე პირს ცერა თითით სინჯავდა.

–გამაგებინე, რა ხდება! – სთხოვა მებაღემ.

–დღეს ჩვენში ,,პირგაპარსულთა დღეა". ყველამ უნდა გაიპარსოს პირი, მეფემაც კი! ვინც ამ ტრადიციას დაარღვევს, აქ მოგვყავს და, სურს თუ არა, პირს ვპარსავთ. შენც ასე მოგიწევს! – აუხსნა მან.

მოედანზე ჟრიამული არ ცხრებოდა. დალაქმა აუჩქარებლად, ღიღინ-ღიღინით ჯერ ერთი ლოყა ჩამოპარსა ჭაბუკს, მერე – მეორე.

–ერთი შეხედეთ, რა ლამაზი ყოფილა! – აკისკისდნენ გოგონები.

მეფე-დედოფალს და მათ ასულს კი სუნთქვა შეეკრათ – მებაღე უფლისწულ ვაჟიას მიამსგავსეს, მაგრამ თვალებს არ დაუჯერეს, თუმცა მალე ყველაფერი ნათელი გახდა – ჭაბუკი მებაღე მართლაც, უფლისწული ვაჟია ბრძანდებოდა.

ტაიასა და ვაჟიას სიყვარულს წინ ვერავინ აღუდგა. დიდებული ქორწილი გადაიხადეს. დამოყვრებულმა მეფეებმა მოილაპარაკეს და სამეფოები გააერთიანეს, მეფედ კი, რა თქმა უნდა, ჭკვიანი და მოხერხებული ვაჟია დასვეს.



გიგა ხარიძე,
4 წლის



ირაკლი ხარიძე,
9 წლის, ფასანაურის საშ. სკოლა

# მილოცვა გაზეთის „ათინათი“

ქ. რუსთავის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საშუალო სკოლაში ჟურნალისტიკა 1998 წელს დაიბადა. გაზეთი „მზეკაბანი“ პედაგოგთა ერთობლივი ძალისხმევით გამოდიოდა. მოგვიანებით „მზეკაბანა“ შვა გაზეთი „ათინათი“, რომელსაც მოსწავლეები უშვებენ, სარედაქციო კოლეგიაშიც მასწავლებლები კი არა, მოსწავლეები არიან.

წელს გაზეთი „ათინათი“ 2 წლის გახდა. ეს ორწლიანი გზა ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა, მას ხომ უამრავი მოსწავლის ინტერესი და სიყვარული უნდა მოეპოვებინა, გარდა ამისა, სკოლის მრავალფეროვან და შემოქმედებითად დატვირთულ ფერხულშიც უნდა ჩაბმულიყო. სარედაქციო მუშაობა 15 უფროსკლასელისგან შემდგარმა სარედაქციო კოლეგიამ იტვირთა. დამწყები ჟურნალისტები არც დროს იშურებდნენ, არც ძალას, ცდილობდნენ მათ თვალსა და კალამს არაფერი გამორჩენოდა დაუფიქსირებელი. გაზეთის ფურცლებზე გაჩნდა რუბრიკები: „თვიდან თვემდე“, „სტუმარ-მასპინძელი“, „რელიგია“, „პატარა ხელები“, „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს“, „ინტერვიუ საოჯახო ალბომთან“ და სხვა.



„ათინათმა“ ნელ-ნელა დაიმკვიდრა ადგილი სკოლის ცხოვრებაში, გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა მისი სახე. საინფორმაციო სამსახურის გაძლიერების მიზნით, სკოლის დირექტორის ქალბატონ ბელა ჯანგიძის დახმარებით, რომელიც დიდ ყურადღებას და ინტერესს იჩენს სკოლის ჟურნალისტების მუშაობის მიმართ, სარედაქციო კოლეგიამ და რედაქტორმა ერთობლივი ძალისხმევით ჩამოაყალიბეს პრესკლუბი. კლუბის წევრებს გადაეცათ სკოლის აკრედიტებული ჟურნალისტების დამადასტურებელი სპეციალური საშვები. დღესდღეობით პრესკლუბის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, აწყობენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, შეხვედრებს ცნობილ პიროვნებებთან, მართავენ დისკუსიებს და სხვა.

ვულოცავთ გაზეთ „ათინათს“ 2 წლის იუბილეს და ვუსურვებთ პროფესიულ, შემოქმედებით ზრდას და დიდ წარმატებებს. გაზეთისთვის ორი წელი დიდი ასაკი არ არის, თუმცა „ათინათმა“ ამ ხნის განმავლობაში შეძლო დაემტკიცებინა, რომ ის სჭირდება სკოლას, სჭირდება თითოეულ მოსწავლეს და ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი გაზეთი მას შემდეგაც გააგრძელებს სიცოცხლეს, რაც მისი დამფუძნებლები და პირველი კორესპონდენტები სკოლას დაამთავრებენ, და უფრო და უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება.

**ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლის პრესკლუბი.**

---

## თვითმხატვარი



### ლედი

ერთხელ დედამ და მამამ სურვილი ამისრულეს და სახლში ძაღლი მომიყვანეს, სახელი მე შევურჩიე და ლედი დავარქვი. იგი ძალიან ჭკვიანია, სულ ყოველთვის, როდესაც კარზე აკაკუნებენ, ყეფს, როდესაც ადამიანი სახლში შემოდის, ახტება და უყეფს. ლედი სულ ერთობა და ადამიანებს თავს აბეზრებს თამაშით, მას სულ ჭამა უნდა, როდესაც საჭმელად დავჯდები, მახტება და საჭმელს მთხოვს. ჩემს ძაღლს გრძელი ყურები აქვს. ლედის ძალიან უყვარს თამაში, როდესაც მე ყურადღებას არ ვაქცევ, სათამაშო გოჭს მოიტანს ხოლმე და ისე მახტება.

**თათია ლიპარიშვილი**, ქ. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლის Iდ კლასის მოსწავლე



**ბესო დავითაშვილი,** რუსთავის №2 საშ. სკოლა, 13 წლ.


## ყურადღება!

ქართულ-ამერიკული საერთაშორისო კომპანიების „phage international“ – ისა და „ფაგოთერაპიის“ ცენტრის გაერთიანების შემდეგ თბილისში გაიხსნა სამკურნალო-სადიაგნოსტიკო „ფაგოთერაპიის ცენტრი“, რომელიც ახორციელებს კომპლექსურ მკურნალობას ბაქტერიოფაგების გამოყენებით, შემდეგი დაავადებების დროს: დიაბეტური ტერფი, ვარიკოზული და სხვა წარმოშობის ქრონიკული წყლულები, ძნელად შესახორცებელი ჩირქოვანი ჭრილობები, ნაწოლები, რბილი ქსოვილებისა და კანის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებები, ქრონიკული ოსტეომიელიტი, ქრონიკული სინუსიტი (ფრონტიტი, ჰაიმორიტი), ოტიტი, ყბა-სახის პათოლოგიები და სხვა. კონსულტაციის მიღება და მკურნალობის ჩატარება შეგიძლიათ ყელ-ყურის სპეციალისტ გია მარკოზაშვილთან, ყბა-სახის ქირურგ პროფესორ ზურაბ გვენეტაძესთან, ქირურგ პროფესორ გურამ გვასალიასთან.

ცენტრის მისამართია: 5 ჯავჯავაძის გამზირი
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: (955 32) 48-4004 ფაქ. (995 32) 48-4005
მობ. (955 93) 32-7170
http://phagetherapycenter.com/


### გაიპარა უზუსტობა

გაუგებრობის შედეგად „ნაკადულის“ წინა ნომერში (2005 წ.№9) გამოქვეყნებულ მასალაში „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“ დაშვებული იქნა უზუსტობა 49-ე სტრიქონში ნაცვლად გიორგი უშიკაშვილისა უნდა იყოს: (ხელმძღვანელი რომან ძიძიგური), მეორე სვეტის ბოლოს ფრჩხილებში – „ცნობილი ბიბლიოთეკარი საავაშვილის“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს ასე: (გ. ვარდოსანიძეს ბიბლიოთეკარობა შთამომავლობით მოსდგამს. მისი დედაც ბიბლიოთეკარი იყო).

## იცოდით, რომ...

# ყავა თხებმა აღმოაჩინეს

უთუოდ გაგიკვირდებათ, მაგრამ ყავა ნამდვილად თხებს აღმოუჩენიათ. უხსოვარ დროში ერთ მწყემსს შეუნიშნავს, რომ მისი თხები რაღაც ბუჩქის ფოთლებსა და ნეკერს რომ მოწიწკნიდნენ, აღგზნებულ კუნტრუშს იწყებდნენ. ერთხელ ამ ამბავს მახლობელი მონასტრის მოძღვარი შესწრებია და თხების უცნაური ქცევის შემხედვარეს იმ ბუჩქისთვის ფოთლები და ნაყოფი შეუცლია, მოუხარშავს და ბერებისთვის დაულევინებია. ბერები მოყოჩაღებულან, ძილიც გაფრთხობიათ და მთელი ღამე შეუსვენებლივ ულოციათ.

თურმე ყავის გამამხნევებელი თვისებები უძველეს მეომრებსაც სცოდნიათ. მათ ყავის ყვითელი მარცვლები შორეულ ლაშქრობებშიც თან ჰქონდათ. ჩაიგდებდნენ პირში, გაღეჭავდნენ და მხნეობა და ძალ-ღონე ემატებოდათ, მაგრამ საქმეს ნაკლებად სასიამოვნო გემო აფუჭებდა. მერე ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ ყავის მოხლა, დაფქვა და მოხარშვა მოიფიქრა. ის დღე იყო და ის – ამ სურნელოვანმა გამამხნევებელმა სასმელმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეაღწია და ჩაის გვერდით დაიმკვიდრა ადგილი.

ყავის ხის სახელწოდებას სამხრეთ-დასავლეთ ეთიოპიის ერთ-ერთ მთიან ადგილს – კაფას უკავშირებენ, თუმცა მის ძირძველ ბოტანიკურ სამშობლოდ აბისინიის, ანგოლისა და მოზამბიკის კლდიანი ადგილები ითვლება. ენდროსებრთა ოჯახის 5000-მდე სახეობის ეს მარადმწვანე მცენარე ძირითადად ტროპიკებში ხარობს. კონკრეტულად ყავის ნაყოფს და მათგან 50 სახეობა ისხამს. რასაც ჩვენ ვსვამთ, მხოლოდ ორი ჯიშის – არაბიკის კი რობუსას ნაყოფია.

ყავის ხე აზიზი მცენარეა და 8 გრადუს სითბოს ქვემოთ უკვე იღუპება. თუმცა ვერც მზის მცხუნვარე სხივებს იტანს და ამიტომ სხვა მაღალი ხეების ჩრდილქვეშ ყველაზე უკეთ ხარობს. ნაყოფი წითელი ან მოლურჯო – შავი აქვს, რომელშიც ორი ოვალური მუქი ყვითელი ყავის მარცვალია – ერთდროულად ასხია მწიფე და ჯერ უვარგისი ნაყოფი. ერთი ზრდასრული ხე სულ რაღაც სამ კილო მოსავალს იძლევა და ისიც მთელი წლის განმავლობაში უნდა არჩიო და კრიფო. ისე, რომ ყავის კრეფა საკმაოდ რთული საქმეა. ყავის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებას მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა. თავიდან განათლებულ ევროპაში ყავას „თურქების შავ სისხლსა“ და „ჭვარტლის სიროპს“, უწოდებდნენ, აძაგებდნენ და უბრალოდ, არ ესმოდათ მისი ფენომენი... მაგრამ გონიერმა ვაჭრებმა იმდენი მოახერხეს, რომ ყავა ორიოდე ათეული წლის განმავლობაში მსოფლიოს მოედო. ჰოლანდიელებმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში იავასა და ბატავის კუნძულებზე ყავის უზარმაზარი პლანტაციები გააშენეს. ფრანგმა კაპიტანმა დე კილემ სწორედ ჰოლანდიელებს მოჰპარა ყავის რამდენიმე მარცვალი და პარიზის ბოტანიკურ ბაღში გაახარა. რამდენიმე წელიწადში კი დე კილეს მარტინიკის კუნძულზე 16 მილიონი ყავის ხის პლანტაცია ჰქონდა. ამ კუნძულზევე დაუდგეს თანამემამულე კაპიტანს ფრანგებმა ძეგლი. ბრაზილიელებმა კი „ყავის ბიზნესში“ დამსახურებისთვის ქალაქ სან-პაულოს ცენტრალურ მოედანზე ყავის ხეს ბრინჯაოს ძეგლი აუგეს.

არადა, კაცობრიობა კარგა ხანს ყოყმანობდა: დაელია თუ არა ყავა?

ევროპაში პირველად ეს კითხვა მე-16 საუკუნეში დაისვა. ამ დროისათვის მექაში მუჰამედის სახელით ყავა უკვე ანათემას იყო გადაცემული, თურქული კანონით კი იმას, ვინც ყავას მიეჩვეოდა, იმავე ყავის ტომარაში გამოკრავდნენ და ზღვაში გადაუძახებდნენ. ამგვარ კანონს არც თურქები შეუშინებია, და არც არაბები. მათი წყალობით, ყავამ ჩრდილოეთისკენ გაიკვლია გზა.

პირველი ყავახანა ევროპაში იტალიელებმა გახსნეს 1646 წელს. ექვსი წლის შემდეგ კი პირველი ყავახანის პატრონმა – ბერძნული წარმოშობის თურქმა ტყვე ქალმა მიიღო პირველი სტუმარი. აღმოსავლელი მბრძანებლებისაგან განსხვავებით, საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტემ ძალიან მოიწონა სასმელი და სპეციალური ბრძანებულებით აღიარა იგი. 1720 წელს პარიზში უკვე 380 ყავახანა იყო.

საინტერესოა ყავის პოლონური ეპოპეა. ერთმა გამჭრიახმა პოლონელმა რაინდმა თურქთა ამალის დარბევის შემდეგ მტრის კარვიდან მთელი ტომარა ყავის მარცვალი გამოაყოლა ხელს და სამშობლოში პირველი საყავე დააარსა.

ევროპა ტომრებში არ კრავდა „დამნაშავეებს“, მაგრამ ყავას მაინც სკეპტიკურად უყურებდა. კონსერვატორი ფეოდალები თავის ქვეშევრდომებს საერთოდ უკრძალავდნენ ყავის სმას და ამისათვის გარკვეული ჯარიმაც იყო დაწესებული.

გამოხდა ხანი და მთელმა კაცობრიობამ მიიღო ყავა.

ამ სასმელისადმი დამოკიდებულება ბალზაკმა ასე განსაზღვრა: „ფინჯანი ყავის მერე გონება ფეთქდება, აზრები ისეთი მიჯრით მოდიან, როგორც ბრძოლის ველზე ძლიერი ჯარის ბატალიონები“.

საერთოდ ყავის ყველაზე დიდი მოყვარულები სკანდინაველები არიან, განსაკუთრებით შვედები. თითო შვედი წელიწადში 7 კილოგრამზე მეტ ყავას ნთქავს. ინგლისელებმა ტრადიციას არ უღალატეს და დღემდე ჩაის ანიჭებენ უპირატესობას. ყველაზე მაგარ ყავას უნგრელები და პოლონელები ადუღებენ.

საქართველოში ყავის მასობრივი ბუმი გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, მანამდე მას ვიწრო წრეებში თუ მიირთმევდნენ, ამასთან ჩვენი ბებიები რძიან ყავას ამჯობინებდნენ. დღეს კი თითქმის ყველა ქართულ ოჯახში ცისმარე დღე ფინჯანი ყავით იწყება. სხვადასხვა ოფისებსა თუ დაწესებულებებში ხომ გაუთავებლად შეექცევიან ამ სასმელს. ყავის ქება-დიდებას უთუოდ გაფრთხილება უნდა ვაახლოთ – დიდი რაოდენობით შავი ყავა არ არის რეკომენდებული.

# წარმატებული დებიუტი

თუმცა თბილისის ალ. მაჭავარიანის სახელობის №26 ხელოვნების სკოლის (დირექტორი ჟანა თეთრაშვილი) თეატრალური განყოფილების (ხელმძღვანელი ჯემალ მელქაძე) მოსწავლეებს ოდნავ დაუგვიანდათ საახალწლო ზეიმის მოწყობა, მაგრამ ამას თავად ზეიმი ოდნავაც არ გაუფერმკრთალებია, იგი მხიარული და წკრიალა გამოვიდა. ხოლო რადგან ეს ღონისძიება ახლახან შექმნილი თეატრალური განყოფილებისთვის სადებიუტო იყო, მას მნიშვნელობაც დიდი ჰქონდა. სამზადისისთვის გაწეული შრომა-გარჯა ყველას დაუფასდა — განყოფილების ხელმძღვანელის და თეატრალიზებული დადგმის რეჟისორს ჯემალ მელქაძეს, რეჟისორის თანაშემწეს ლეილა კობეავიძეს, ვოკალის პედაგოგებს: ქეთევან ჩაგანავას, მანანა ჭოლაძეს, დოდო ნიშნიანიძეს, ქორეოგრაფებს ქეთევან ჭკადუას და კობა ბიჭაშვილს და რაღა თქმა უნდა, ბავშვებს — ზეიმის უშუალო შემოქმედთ, რომლებმაც ჩინებულად განასახიერეს საახალწლო ზეიმის მონაწილე ზღაპრის გმირები და მართლაც ჩინებული პარტნიორობა გაუწიეს ზეიმის წამყვან თოვლის პაპას (ჯ. მელქაძე.).



წარმოგიდგენთ ნორჩ მსახიობებს, თეატრალური განყოფილების პირველ მოსწავლეებს: სოფიკო მჭედლიძე (თოვლის დედოფალი), სალომე მახარობლიძე (ფიფქია), თაკო მირიანაშვილი (წითელქუდა), ლევან ურუმაშვილი (მგელი), მარიამ ნადიბაიძე (ნიფ-ნიფი), მედეა კუპრავა (ნუფ-ნუფი), მარიამ სუხიტაშვილი (ნაფ-ნაფი), თამრიკო აბულაძე (ბეკეკა), მარიამ ომიაძე (წუნა), გიორგი თარიმანიშვილი (წრუწუნა), ნიკა მანცულაშვილი (კომბლე), გიორგი ხარბეიშვილი (ნაცარქექია), თიკო კუპრავა (კურდღელი), ქეთი ხუროშვილი (ფისო), თიკო ღვინიანიძე (მელაკუდა), ლუკა კუპრავა (ახალი წელი), ანა ბულაშვილი (ცუგრია), ილია შიოლაშვილი (მამალი).

---

## ჩემი სკოლა

(ჩანახატი)

გვიანი შემოდგომაა. მზე ათბობს და ვერც ათბობს სიცივემორეულ დედამიწას. იძარცვებიან ხეები ფოთლებისგან.

გვიანი შემოდგომა — ზღვარი დიდი და მკაცრი ზამთრის კარიბჭესთან. უცხო, ნაღვლიან სიმღერას ღიღინებს ბუნება. მეც გული მიმღერის. ნელა მოვუყვები სკოლისკენ მიმავალ გზას. რა მიხარია, არ ვიცი. მინდა, ყველას მოვეხვიო და მოვეფერო. იქნებ, ჩემს საყვარელ მასწავლებლებთან შეხვედრა მიხარია? იქნებ, ჩემი ცელქი მეგობრები მენატრებიან?

არა! ეს სიხარული სულ სხვა რამით არის გამოწვეული. მიხარია განახლებული სკოლისკენ, მინდა მალე გავლიო გზა. ფეხს უფრო ავუჩქარე. აი, გამოჩნდა თეთრი გედივით აღმართული შენობა. ღმერთო, რა ლამაზია, როგორ უხდება მწვანე ქუდი!

რად მიყვარს ასე ძალიან ჩემი სკოლა? ალბათ იმიტომ, რომ აქ მშობლიური სითბო და სიყვარული მელოდება, ალბათ იმიტომ, რომ ყველა ერთად ზრუნავს მისი გალამაზებისთვის, ალბათ იმიტომ. რომ ეს ლამაზი შენობა უჩვეულო სილამაზეს ანიჭებს ირგვლივ ყველაფერს.

ღმერთო, მრავალი ბავშვი დააფრთიანე ამ წმინდა ტაძარში და გზა დაულოცე ცხოვრების ფართო გზაზე!

**ქეთი ჩალმაველი,**
ახმეტის რაიონი,
სოფ. აწყურის საშუალო სკოლა, IV კლასი



**გვანცა ღვინიაშვილი,**
საერო სკოლა „სადუნი“



**ლანა ალხაზიშვილი,**
საერო სკოლა „სადუნი“

# მითხარი რა დაგესიზმრა, და გეტყვი რა გელის

**დაგესიზმრა, რომ მოგდევდა ურჩხულის მსგავსი საშინელი არსება ან რაღაც უზარმაზარი ლაქა, ან სულაც ორივე ერთად. ცდილობდი გაქცეოდი, მაგრამ თავს ვერ აღწევდი.**

ეს იმას ნიშნავს, რომ შენ მართლა გაქვს რაღაც პრობლემა, მაგრამ არ გინდა შენს თავს გამოუტყდე ამაში. როდემდის უნდა გაექცე ასე პრობლემებს, დროა თვალი გაუსწორო მათ!

* * *

**დაგესიზმრა, რომ ფეხბურთის მოედანზე გამოხვედი, მაგრამ სპორტული ფორმის ნაცვლად, ღამის პიჟამა გაცვია, ან უფრო უარესი – საერთოდ არაფერი გაცვია ტანზე.**

ეს იმას ნიშნავს, რომ უკიდურესად არასასიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდი და შენი ტვინი ცდილობს თავიდან აიცილოს მისი შედეგები. თუ სიზმარში შენს უცნაურ ჩაცმულობას არავინ მიაქცევს ყურადღებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მეგობრებს შენ ყველანაირი მოსწონხარ. მაგრამ თუ სიზმარში მასხარად აგიგდეს და სიცილი დაგაყარეს, იცოდე, რომ დროა ახალი მეგობრები გაიჩინო!

* * *

**დაგესიზმრა, რომ თოვლიან მწვერვალზე ადიხარ, ფეხი გიცდება და ვარდები, ვარდები, ვარდები და რბილად ეშვები ყვავილებით მოქარგულ მოლზე.**

ეს იმას ნიშნავს, რომ შენ მეტისმეტად დაუდეგარი ცხოვრება გაქვს. დროა, ცოტა დაამუხრუჭო და დაფიქრდე, გაერკვე იმაში, რა გთრგუნავს. რბილად დაშვება კი იმის მომასწავებელია, რომ მძიმე პერიოდი მალე გაივლის.

* * *

**დაგესიზმრა, რომ გააფთრებული სპილო მოგდევს, შენ კი თითქოს გაქვავდი, ფეხს ვერ იცვლი, გინდა იყვირო, საშველად უხმო ვინმეს, მაგრამ ხმა არა გაქვს!**

ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცაში „გაიჭედე". დაფიქრდი, როგორ აღმოჩნდი ამგვარ სიტუაციაში, მომავალში კი ეცადე, მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალი იპოვო.

* * *

**დაგესიზმრა, რომ დაკარგე შენი საყვარელი მუსიკალური ჯგუფის კონცერტზე დასასწრები ბილეთი. ყველაფერი გადააბრუნე, მაგრამ ვერსად იპოვე.**

ეს იმას ნიშნავს, რომ გინდა რაღაცნაირად გამოფხიზლდე, საკუთარ თავს შეუძახო, გინდა სპორტის სხვა სახეობა ან ჰობი აირჩიო, მაგრამ დარწმუნებული არა ხარ, რომ შეძლებ. ჩაიხედე საკუთარ თავში, მოძებნე საკუთარი თავის რწმენა, კარგად დაძებნე და უთუოდ მიაგნებ, იცოდე, ის ნამდვილად არის შენში!



* * *

**დაგესიზმრა, რომ შოუბიზნესის ან კინოვარსკვლავის გვერდით დგახარ, ის კი გთხოვს მასთან ერთად იმღერო.**

ეს იმას ნიშნავს, რომ შენ არანაირი უთანხმოება არ გაქვს არც საკუთარ თავთან და არც საყვარელ ადამიანთან. შეიძლება შენ ეს-ეს არის წარმატებით ჩააბარე ტესტი ან სასკოლო სპექტაკლში მთავარი როლი მოგანდეს. გილოცავთ, შენ ყველაფერი კარგად გაქვს.

* * *

**დაგესიზმრა, რომ მოდიხარ შენთვის ქუჩაში და უცბად მაღლა აფრინდი!**

ეს იმას ნიშნავს, რომ შენ მართლაც ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ფრთები გამოგესხა. ეტყობა, მეგობრები შენში ლიდერს ხედავენ ან მშობლებმა უფრო მეტი თავისუფლება მოგცეს.

* * *

**დაგესიზმრა, რომ დაიკარგე, სკოლის გზა ანაზდად რთულ ლაბირინთს დაემსგავსა. სად ხარ? როგორ უნდა გამოაღწიო აქედან?**

ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებაშიც ერთგვარად დაბნეული ხარ, ძნელი არჩევანი გაქვს გასაკეთებელი და გეშინია, ვაითუ, შენი გადაწყვეტილება მცდარი გამოდგეს. კარგად დაფიქრდი, შექმნილი სიტუაციიდან სხვა გამოსავალი უნდა მოძებნო.

* * *

**დაგესიზმრა, რომ მასწავლებელი საკონტროლო გამოკითხვას ატარებს, შენ კი არც ერთი პასუხი არ იცი. ან უფრო უარესი: შენ მისვლა დააგვიანე და მაშინ მიხვედი, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო.**

ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი ამბების გამო ნერვიულობ. თუ მოემზადე ამ ამბებისთვის, მაგრამ მაინც ნერვიულობ, ეს ნორმალურია, ხოლო თუ ზარმაცობდი, სასწრაფოდ უნდა მოეგო გონს – დაე, სიზმარი გაფრთხილება იყო შენთვის!

* * *

ვინ იცის, რამდენჯერ გითქვამს, შეშფოთებულს თუ გახარებულს მეგობრებისთვის, აუ, რომ იცოდე წუხელ რა დამესიზმრა!.. თურმე შეიძლება ერთ ღამეში ადამიანმა ექვსი სიზმარიც კი ნახოს და ზოგი მათგანი მართლაც საშინელია ხოლმე. სიზმრებზე ჩვენი ტვინის ის მონაკვეთია პასუხისმგებელი, რომელშიც დღის განმავლობაში დაგროვილი აზრები, ფიქრები, განცდები და მოგონებები იყრის თავს. ღამე ტვინი ამ ყველაფერს აერთიანებს და ასე ჩნდება ხშირად ძალზე საშინელი, მაგრამ საკმაოდ რეალისტური სიზმრები.

სიზმრები იშვიათად ხდება, თუმცა სიზმარში ნანახის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა გვჭირს ცხოვრებაში. სიზმრებს შეუძლია ბევრი რამ გვიამბოს ჩვენზე და ჩვენს პრობლემებზე.

ჩვეულებრივ, ძილი 10-დან 40 წუთამდე გრძელდება, მთლიანობაში ჩვენი სიზმრები თითქმის ექვსი წელი გრძელდება.

ძილის დროს ელექტროენცეფალოგრამა ტვინის უფრო მეტ აქტიურობას გვიჩვენებს, ვიდრე ღვიძილისას.

გოგონებს გოგონებიც ესიზმრებათ და ბიჭებიც, ბიჭებს კი უფრო ხშირად ბიჭები ესიზმრებათ.

ზოგი მეცნიერის აზრით, სიზმარს ნახულობს თითქმის ყველა ძუძუმწოვარი, დელფინების გარდა.

# კითხვა — თქვენი

ამასწინათ კლასელებმა ფული შევაგროვეთ და „მაკდონალდსში" წავედით. სიმართლე გითხრათ, ჩვენ ჩვენებური ხაჭაპური და ხინკალი უფრო მოგვწონს, ვიდრე ჰამბურგერები თუ ჩისბურგერები, მაგრამ „მაკდონალდსში" დავრწმუნდით, რომ თურმე საჭმლის გემოს გარდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონია ვითარებას, მომსახურებას, სისუფთავეს. თუ შეიძლება გვიამბეთ რას წარმოადგენს „მაკდონალდსის" ფირმა.

**თიკო და ლელა**

„მაკდონალდსი" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფირმაა. მისი ყოველწლიური შემოსავალი 1,4 მილიარდი დოლარია.

ფირმის მომსახურების წარმატება უმარტივესი წესების განუხრელი დაცვითაა განპირობებული. ამ ბიზნესის მომგებიანობა მის ორგანიზებულობაში უფროა, ვიდრე ორიგინალობაში. საჭმელი, რომელსაც „მაკდონალდსის" უხარმაზარი ქსელის ნებისმიერი რესტორანი სთავაზობს მომხმარებელს, „მეზობელთაგან" ყველაზე საუკეთესოა; მომსახურება სწრაფია, მომსახურე პერსონალის თავაზიანი ღიმილი აუცილებელია; რესტორნის უმკაცრესი კანონია მუდმივი სისუფთავე და ვენტილაცია; ერთადერთი, რასაც „მაკდონალდსში" ვერ ნახავთ, საფერფლეა — ამით მიღწეულია იდეალური სანიტარული მდგომარეობა. კლიენტმა ყოველთვის იცის, რას მიირთმევს და, რაც მთავარია, მას იქ ბავშვის შეყვანაც თამამად შეუძლია.

როგორც წესი, „მაკდონალდსის" მომსახურე პერსონალი ახალგაზრდაა და ამაში ბიზნესის წარმატების დიდი წილია ჩადებული; გარდა იმისა, რომ მუშახელი იაფია, მომსახურება უშუალო ატმოსფეროს ქმნის და სტუმარიც სრულუფლებიან „მბრძანებლად" გრძნობს თავს. წარმატების კიდევ ერთი საიდუმლო დისციპლინაა: ფირმა თავის ორგანიზაციებს სისტემატურად ახალისებს სტიმულირების ახალი ფორმებითა და ახალ-ახალი იდეებით. ნებისმიერი თანამშრომელი გარანტირებულია ილინოისის შტატში ცენტრალური კომპანიის „ჰამბურგერ უნივერსიტეტში" სწავლით. აქ წელიწადში 14-ჯერ 72 ქვეყნის 200-200 მენეჯერი გადის ორკვირიან სემინარს.

„მაკდონალდსს" საკმაოდ კორექტული ურთიერთობა აქვს იმ ქვეყანასთან, სადაც ფილიალს ხსნის.

ფილიალის გახსნისთვის „მაკდონალდსი" ირჩევს ისეთ პარტნიორს, რომელსაც გარკვეული წონა აქვს საზოგადოებაში (მაგალითად, საუდის არაბეთში პარტნიორი სამეფო გვარის წევრია); პარტნიორი უფლებამოსილია შეარჩიოს ადგილობრივი კადრები; ფირმა ეხმარება მას შესაფერისი შენობის დაქირავებაში, მშენებლობაში, აწვდის საქონელს.

პოტენციური პარტნიორი რესტორნის გახსნამდე ორწლიან გამოცდას გადის. მომავალი ხელმძღვანელობა სამუშაო პრაქტიკაზე იგზავნება სასწავლებლად. ურთიერთშეთანხმების შემდეგ პარტნიორი იხდის 45 ათას დოლარს და 20 წლიან ხელშეკრულებას აწერს ხელს, რომლის მიხედვითაც „მაკდონალდსის" საკუთრება შემოსავლის მხოლოდ 4%-ია. ეს კი წელიწადში 200000 დოლარია საშუალო ზომის რესტორნიდან.

გაგაცნობთ „მაკდონალდსის" რამდენიმე პრინციპს:

თანამშრომლების ხშირი შეკრებები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის;

მათთვის სტანდარტული პროფესიის სწავლების გარანტირება;

იმ ქვეყნის კულტურის საფუძვლიანი შესწავლა, სადაც დაგეგმილია ფილიალის გახსნა;

ასორტიმენტის სტანდარტულობის დაცვა;

ადმინისტრაციისა და მომსახურე პერსონალის ადგილობრივი კადრების შერჩევა;

დამოუკიდებლობის წახალისება;

დაბალი ფასები;

სტაბილური ხელფასები ვალუტაში;

უდიდესი სარეკლამო კამპანია.

# პასუხი — ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექვთიმე თაყაიშვილი

ისტორიკოსი, არქეოლოგი, ხელოვნების ისტორიკოსი, ფილოლოგი, რუსთველოლოგი, ლინგვისტი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ტექსტოლოგი, ეპიგრაფიკოსი, გეოგრაფი, ნუმიზმატიკოსი... ეს ჩამოთვლა კიდევ უფრო შორსაც წაგვიყვანს, თუ უდიდეს ქართველ მეცნიერსა და მამულიშვილს ექვთიმე თაყაიშვილს გავიხსენებთ. ქართველმა საზოგადოებამ უკვე კარგად იცის, რომ, მიუხედავად არაჩვეულებრივი მდიდარი მეცნიერული ინტერესებისა, ექვთიმე თაყაიშვილი იყო კაცი, რომელსაც მარტო მეცნიერების ჩარჩოებშიც ვერ მოაქცევდი. ის იყო მოღვაწე ამ სიტყვის ყველაზე ფართო და მაღალი გაგებით.



ამ დიდი ქართველის აქტიური მონაწილეობით დაიძრა არაერთი საქვეყნო საქმე — დაარსდა თბილისის საეგზარქოსო მუზეუმი და საარქეოლოგო კომიტეტი, შეიქმნა წიგნის გამოცემათა ამხანაგობა, ამოქმედდა ქართული ისტორიისა და მწერლობის მოყვარულთა წრე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 1907 წელს დაფუძნდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც პირველივე დღიდან გარს განათლებული ქართველობა შემოიკრიბა.

ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო მუშაობასთან გახლავთ დაკავშირებული საქართველოს ისტორიისა და კულტურის უძველეს ძეგლთა მოხილვა და შესწავლა. ამ ბალღობიდან ფეხმტკივანმა კაცმა მართლაც რომ საკუთარი ფეხით შემოიარა დღეს თურქეთის საზღვრებში მყოფი ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქრისტიანული ძეგლები. ე. თაყაიშვილის ეს შრომა მით უფრო საგულისხმოა, რომ შემდგომ წლებში ამ უნიკალურ ტაძართა შესწავლა და პატრონობა ქართველ მოღვაწეთაგან, გასაგები მიზეზების გამო, აღარ და აღარ მოხერხდა. ე. თაყაიშვილი ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, აკი თვითონაც წერს: 1917 წლის რევოლუციამდე მე ვიყავი თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც ვაწარმოებდი თხრას საქართველოში. მაგრამ უამრავ ინტერესსა და გატაცებას შორის ამ იშვიათი ბუნების კაცს ჰქონდა ერთი, ყველაზე დიდი გატაცება, რომელსაც კიდეც ანაცვალა მთელი თავისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება. ეს იყო გატაცება ქართული ხელოვნების სიძველეებით, რომელთა შეგროვებასაც, ჯერ კიდევ XIX ს. მიწურულს, იგი დიდი რუდუნებით ეწეოდა და ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1921 წ. 25 თებერვალს, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის შემდგომ, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დადგა ქვეყნის ეროვნული განძეულობის ევაკუირებისა და უცხოთა ხელყოფისაგან დაცვის საკითხი, არავის უძებნია ამ საქმისათვის ექვთიმე თაყაიშვილზე ერთგული და თავდადებული კაცი. განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალური კომისიის მიერ 10 მილიონ 471 773 ოქროს მანეთად შეფასებული ეროვნული საუნჯე თავის მცველ ექვთიმე თაყაიშვილთან და მის მეუღლესთან ნინო პოლტარაცკაიასთან ერთად 1921 წლის მარტში ნაჩქარევად გაუყენეს შორეული საფრანგეთის გზას, ვიდრე 1945 წლის 11 აპრილს, მცველთან ერთად, ისევ თავის მრავალტანჯულ სამშობლოს დაუბრუნდებოდა.

თბილისისა და ქუთაისის სამუზეუმო განძეულობა და სახაზინო ვალუტა, უმნიშვნელოვანესი ნივთები ბორჯომის დიდი მთავრის სასახლისა და ხობის მონასტრის განძეულობიდან... 249 ყუთში ჩატვირთულ ამ ძვირფასეულობას თან ახლდა გრძელი სია, რომლის მეორე პირიც საქართველოში ინახებოდა. ამ 249 ყუთიდან იმთავითვე გამოუყვია 39 ყუთი უნიკალური ეროვნული განძეულობით და შესანახად მიუბარებია იგი საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებისათვის, დანარჩენი ზურაბ ავალიშვილსა და იოსებ ელიგულაშვილს მოუთავსებიათ პარიზის ბანკ „გარდმებელში“. საგანგებო კომისიის მიერ „სარეალიზაციოდ“ მიჩნეული 128 ყუთის „საბანკო ვერცხლეულობა“ (ზოდები) კი 1921-24 წლებში გადაუდნიათ და გაუყიდიათ მილიონ 200 ათას მანეთად. სწორედ ამ ფულის ნაწილით შეუძენიათ ქართველ ემიგრანტებს მამული და სახლი პარიზთან ახლოს, სოფელ ლევილში, სადაც მოგვიანებით ქართველთა პატარა დასახლებაც გაჩნდა. ამ სახლის მეორე სართულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუჩინეს ორი ოთახი ცოლ-ქმარ თაყაიშვილებს. მათთანვე დააწყვეს განძეულის მცირე ნაწილი. ეს გახლდათ საეკლესიო ნივთებითა და არქეოლოგიური მასალით დატვირთული 15 ყუთი, ოთახების კედლები კი 7 ყუთით ჩამოტანილი 91 სურათით შეამკეს.

ე. თაყაიშვილის ლევილის ბინაში ინახებოდა ბორჯომის, დიდი მთავრის ბიბლიოთეკის წიგნებით სავსე 27 ყუთიც. ეს გახლდათ იმდენად სრულყოფილი ბიბლიოთეკა, რომ ე. თაყაიშვილი წერდა: ევროპის რომელი უნივერსიტეტისთვისაც უნდა შეგვეთავაზებინა იგი, სულ ცოტა, ნახევარ მილიონს მაინც ავიღებდით ულაპარაკოდო.

მთელი 24 წელიწადი გაგრძელდა ეს იძულებითი ემიგრაცია. ამ ხნის განმავლობაში განძეულს არ დაჰკლებია არც ბრიტანეთისა და ნიუ-იორკის მუზეუმების ხარბი თვალი და, ასე განსაჯეთ, მას შინაური მტერიც კი გამოუჩნდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ასულის სალომე მინგრელსკაია-ობოლენსკაიას სახით, რომელმაც ჯერ კიდევ ომამდე, 1934 წლის 8 მარტს მიმართა პარიზის სასამართლოს, ქართული ეროვნული განძეულის საგრძნობი ნაწილის ერთადერთი და კანონიერი მემკვიდრე მე ვარო. მთელი შვიდი წლის განმავლობაში ებრძოდა შინაური მტრისგან მოსულ ამ საშიშროებას ე. თაყაიშვილი. მერე ის იყო, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ახლა „გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან და ბერლინში გადატანა“. საამისო მოლაპარაკებაც დაიწყო, მაგრამ, იგონებდა შემდგომში ე. თაყაიშვილი, მოხერხება ვიშოვე, გერმანიაში „გადასვლაზე გადაჭრილი უარი ვუთხარი“ და მტრებს წამოწყება ჩაეშალათო...

მიუხედავად იმისა, რომ ე. თაყაიშვილსა და მის მეუღლეს საფრანგეთში ცხოვრების მთელი პერიოდის, და განსაკუთრებით, ბოლო წლების მანძილზე, მატერიალურად ძალზე უჭირდათ, მათ წინაშე არც ერთ წუთს არ დამდგარა უამრავი მსურველისთვის საგანძურის თუნდაც სულ უბრალო ნივთის მიყიდვის საკითხი, ჯერ კიდევ 1922 წლით დათარიღებულ-გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ბატონი ექვთიმე წერს: „რაკი პარიზში საცხოვრებელი სახსარი არ გვქონდა, ახლა სოფლად (ლევილში) ვართ... ცოტა ხნის შემდეგ აქ საცხოვრებელიც არაფერი გვექნება“. მეუღლის – ნინო პოლტარაცკაიას გარდაცვალებამ კიდევ უფრო დაამძიმა მეცნიერის ყოველდღიურობა ე. თაყაიშვილი დაავადმყოფდა, მით უფრო, რომ მუდმივი უფულობის გამო, თითქმის სულ უსადილოდ რჩებოდა. იყო კვირეები, როცა თავი მხოლოდ მარჩენალი თხისგან ჩამოწველილი ნახევარი ლიტრი რძითა და ცოტაოდენი პურით გაჰქონდა. ისეთი დროც დაუდგა, როცა ეს ამაყი კაცი იძულებული იყო, სადილვახშამზე თითო თავი კერძით შემწეობა ეთხოვა მეზობლებისთვის.

ყველაზე საზარელი კი მაინც ის იყო, რომ უსახსრობა მუშაობაში აბრკოლებდა. ნიკო მარისადმი 1925 წელს გამოგზავნილ ერთ წერილში იგი მორიდებით ჩივის: „იწერები, რა გაკლია წიგნები, მომწერეო, მე იმდენი რამე მაკლია, რომ მრცხვენია, ყველაფრით შეგაწუხო“. აი, კიდევ ერთი ფრაგმენტი მეგობრის, ი. სონღულაშვილისადმი მიმართული წერილიდან: „მე აქ წყლიდან ამოვარდნილ თევზს ვგავარ. ბევრი უბედურება გადავიტანე... მოკლებული ვარ საშუალებას, თავის დარგში განვაგრძო მუშაობა...“

ე. თაყაიშვილის კეთილშობილებასა და უანგარობას, უეჭველია, მისივე ახალგაზრდობიდან კარგად იცნობდა ქართველი საზოგადოება. ამის საბუთად გამოდგება ისიც, რომ იგი თავისი ანდერძის აღმასრულებლად აირჩიეს XIX საუკუნის ისეთმა მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი.

დიახ, ცხოვრებამ უმძიმესი გამოცდა მოუწყო ამ უდიდეს ადამიანს, რომელიც, მიუხედავად ეროვნული განძეულის მცველის ტვირთისა, მიუხედავად ხელმოკლეობისა, თავისი პირადი ცხოვრებითა და ფართო საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოღვაწეობით, თავისი ნებისამტანობითა და ოპტიმიზმით მისაბაძი იყო უცხოეთის მთელი ქართველობისთვის. ყველაზე საოცარი იყო, რომ მუდამ შიმშილის საშიშროების ქვეშ მდგარი ეს დიდი ადამიანი, იქ, იმ შორეულ ქვეყანაშიც, „არ იშლიდა“ ქართული ხელოვნების ძეგლების სიყვარულს. იგი მთელი ამ წლების მანძილზე ეძებდა, პოულობდა და იძენდა ევროპაში მიმოფანტულ ქართულ ეროვნულ სიძველეებს, ადგენდა მათ აღწერილობას, ბეჭდავდა მოგონებებსა და სტატიებს ქართველ მეცნიერებსა და მოღვაწეებზე. საფრანგეთში ცხოვრების დროს გამოსცა ე. თაყაიშვილმა „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის აღწერილობა“, შეადგინა ვრცელი ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, დააარსა „ქართული სამეცნიერო წრე“ და „ქართული აკადემიური კავშირი“, რომელთაც ჰქონდათ კულტურულ-სამეცნიერო მუშაობის საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამა. იმდენი კი ველარ მოახერხა, სამშობლოში დაბრუნების ბედნიერი დღისათვის ერთი „გამოსაჩენი კოსტიუმი“ შემოენახა.

ალბათ არც არსებობს კაცი, ასე რომ მიესადაგებოდეს თავისივე სიტყვები: „სახელს არ ეძებდე, მაგრამ სახელი კი მოიხვეჭე და შენი სახელი და ხსოვნა უკვდავი იქნება“.

# ავტომუზეუმი










1. ერთ-ერთი პირველი „რენო“ (საფრანგეთი, 1898) ორადგილიანი.

2. „მორისი“ (ინგლისი, 1912-1925 წ.წ.) ორადგილიანი.

3. „ვანდერერი“ (გერმანია. 1912-1924 წ.წ.) ორადგილიანი.

4. „პეჟო – ბებე“. (საფრანგეთი. 1912-1922 წ.წ.( ორადგილიანი.

5. „ოლდსმობილი“ (აშშ. 1901-*1904 წ.წ.) ორადგილიანი.






ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

–რამდენია შვიდჯერ ხუთი?

–ორმოცდათექვსმეტი!

–არ არის სწორი, ორიანი! დღიური მომიტანე!

–მასწ, არ იფიქროთ, თითქოს გაშინებდეთ, მაგრამ სწორედ ამ დილით სკოლაში წამოსვლამდე მამამ მითხრა, იცოდე, შენს დღიურში კიდევ ერთი ორიანი რომ ვნახო, ვიღაცას მოხვდებაო.

* * *

სტუმარი:

–ლექსების კითხვა გიყვარს?

ბავშვი:

–ვერ ვიტან, მაგრამ დედა ყოველთვის მაკითხებს, როდესაც სტუმრების გარეკვა უნდა.

* * *

მასწავლებელი:

–ხვალ ბებიაშენი მოიყვანე სკოლაში, მინდა ვაჩვენო, რა შეცდომებს უშვებს მისი შვილი შენს დავალებებში...

* * *

ბიჭი მამას მიადგა:

–მამი, ფული მომეცი რა!

–შვილო, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ამქვეყნად ფულზე უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს.

–ვიცი და სწორედ ამ მნიშვნელოვან რამეებს რომ ვხედავ, მაშინ მახსენდება, რომ მათ საყიდლად ფული არის საჭირო...

* * *

დედა 5 წლის მარის:

–რას ჯღაბნი, გენაცვალე?

–სოფის წერილს ვწერ.

–კი, მაგრამ, შენ რომ წერა არ იცი?

–მერე რა, არც სოფიმ იცის კითხვა.

* * *

–რა გატირებს, პატარავ? – ჰკითხა ატირებულ შვილიშვილს ბებიამ.

–დედამ მამას უთხრა, ვირი ხარო, იმან კი უპასუხა, შენ კი ნამდვილი ძროხა ხარო...

–მერე რა?..

–რა და... მაშინ მე ვინ ვყოფილვარ?

* * *

–რამდენ ლიტრ რძეს იწველის თქვენი ძროხა, ჟან? – ჰკითხა სოფლის სკოლის მასწავლებელმა მოსწავლეს.

–რვა ლიტრს, ბატონო მასწავლებელო.

–მერე რას უშვრებით ამდენ რძეს?

–ორ ლიტრს ჩვენ თვითონ ვსვამთ, ცხრა ლიტრს კი ვყიდით.

* * *

–დედა, თქვენ დროს სქესობრივი აღზრდის გაკვეთილებს თუ გიტარებდნენ? – ჰკითხა ფრიცმა დედას.

–არა, შვილო, მაშინ სკოლებში ეს საგანი არ ისწავლებოდა.

–მაშ აზრი არა აქვს, რამე რომ გკითხო, მაინც არ გეცოდინება და ვერ მიპასუხებ.

* * *

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის სიტყვა „ანონიმის“ მნიშვნელობას:

–ანონიმი ეწოდება ისეთ ადამიანს, რომელსაც საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ უნდა.

ამ დროს კლასში სიცილი გაისმა.

–ვინ არის მანდ რომ იცინის?! – წყრომით იკითხა მასწავლებელმა.

–ანონიმი! – იყო პასუხი.

* * *

–დედა, იცი, გუშინ პიერი პირდაუბანელი მოვიდა სკოლაში და მასწავლებელმა შინ გაუშვა.

–მერე, რა შედეგი მოჰყვა ამას?

–რა და, დღეს ათი ბიჭი და შვიდი გოგო მოვიდა პირდაუბანელი.

* * *

მეთევზის ანკესს ციცქნა თევზი ამოჰყვა. გაგულისებულმა მეთევზემ უკანვე წყალში გადაუძახა და გააფრთხილა:

–იცოდე, მეორედ აღარ დაგინახო მშობლების გარეშე მოსული.

* * *

მასწავლებელმა მეორეკლასელებს დაავალა, დაეხატათ, თუ ვინ სურდათ გამოსულიყვნენ. ზოგმა მფრინავი დახატა, ზოგმა მეხანძრე, ექიმი, პოლიციელი. გაკვეთილების ბოლოს ყველამ ჩააბარა მასწავლებელს ნამუშევარი კლარას გარდა. მასწავლებელი დაინტერესდა.

–შენ რატომ არაფერი დახატე, არ იცი რა უნდა გააკეთო, როცა გაიზრდები?

–როგორ არა, ვიცი, – მიუგო კლარამ, – მინდა გავთხოვდე და შვილები გავაჩინო, ოღონდ არ ვიცი, როგორ დავხატო ეს.



# ინილოო — ზინილოო

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. კურორტი საქართველოში. 2. უბანი ძველ თბილისში. 3. უფერული ან მოყვითალო ზეთოვანი სითხე. 4. აფრიკის ერთ-ერთი უდაბნო. 5. საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. 7. დროის დიდი მონაკვეთი. 8. მჭედლის ხელსაწყო. 9. გასაშლელ-დასაკეცი სანიავებელი. 11. თასი ანუ... 18. ადგილი შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოში. 19. რიცხვი. 20. პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას. 23. საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი. 24. ხილი. 25. მინერალური წყალი. 26. „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი. 28. სისხლის ძარღვი. 30. რაიმე ტერიტორიის ნაწილი, გამოყოფილი გარკვეული პირობების კვალად. 32. ქალაქი შვეიცარიაში. 33. სოფელი იმერეთში. 34. განვითარების საფეხურის პერიოდი. 35. გეოლოგიური პერიოდის მონაკვეთი. 36. სპორტის სახეობა.

**ჰორიზონტალურად:** 6. სახელმწიფოს ძირითადი კანონი. 10. მუსულმანურ ქვეყანაში უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე. 12. მწუხრი ანუ... 13. დამლა ანუ... 14. გერმანიის ერთ-ერთი პროვინცია. 17. სვლა, მოძრაობა ანუ... 21. ჭაობიან ადგილებში გავრცელებული მრავალწლიანი მცენარე. 22. კუთხური მეტყველება, დიალექტი. 27. ძაღლის ჯიში. 29. მდინარე კახეთში. 31. მდინარე აფრიკაში. 36. აფრიკის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო. 37. რაიმე გამოსახულების ხელახლა გადაღება.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. კილიანი ხორბალი. 6. ვერცხლისფერი ლითონი. 7. პურეულის ღერღილი. 9. პატაკი. 11. დროებითი იზოლაცია. 14. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა. 15. სუბტროპიკული ყვავილოვანი მცენარე. 16. რაიმე საქმიანობაში ვისამე მონაწილეობის ხვედრითი წილი. 17. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა.

**შვეულად:** 1. მანქანის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი, რომელიც ამზადებს სამუშაო ნარევს და გადასცემს ძრავს ცილინდრს. 2. ქიმიური ელემენტი. 3. ხის დიდი ჭურჭელი. 4. უკანდახევა სიძნელეთა წინაშე, პოზიციების დათმობა. 8. ინგლისში უმაღლესი წოდების მემკვიდრეობითი ტიტული. 10. გამოკრული განცხადება წარმოდგენის, კონცერტის, ლექციის შესახებ. 12. უფერო გამჭვირვალე მინერალი. 13. ქორის მსგავსი მტაცებელი ფრინველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მომავალი



ქ. რუსთავის №2 საშუალო სკოლა, **მაიკო მასწავლებელი და მისი პატარები**



ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდი, პედაგოგი **ზურაბ ფშაველაშვილი**

# ჩვენი ვერნისაჟი







**ნინო ხმიადაშვილი**, 8 წლის



**გურამ ხოხაშვილი**, 6 წლის



# ჩვენი ვერნისაჟი

n25/15

ეროვნული ბიბლიოთეკა






შოთა შამრელაშვილი, ახმეტის რ-ნი, სოფ. აწყურის საშ. სკოლა



თამარ ბერიაშვილი, ახმეტის რ-ნი, სოფ. ქისტაურის საშ. სკოლა IV კლასი








ანი ზანქაიძე, ახმეტის რ-ნი, სოფ. ქისტაურის საშ. სკოლა IV კლასი





ლევან მაისურაძე, 10 წლის, ახმეტის რ-ნი, სოფ. კოღოთო